

# ივერია

ქართული ეროვნული პოლიტიკური განცხადი  
პერიოდული გამოცემა

L'organe de la politique nationale Géorgienne  
„I V E R I A“

Directeur E. PATARIDZE.

Rédacteur S. TCHIRAKADZÉ.

ა პ ი ს ი 1964

N° 11

MAI 1964

შ ი ნ ა ბ ა რ ს ი;

მეთაური

ჩვენი პასუხი არამკითხე მოამბე«-თ . . . . .	გლ. პატარიძე
საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობა . . . . .	სეგ. ჭირაქაძე
არაჩვეულებრივი და უცნაური მოვლენა . . . . .	რ. ინგილა
ერთგვარ ტურიზმის შესახებ . . . . .	მიზ. ქავთარაძე
არჩილ წურაბიშვილი (სიტყვა მ. ქავთარაძისა)	
საფრანგეთში გარდაცვლილთა სია	
უცხოეთში გამოცემული ქართული წიგნები	

საქართველოს ეროვნულ - დემოკრატიული პარტია.

LE PARTI NATIONAL DEMOCRATIQUE GEORGIEN

პარიზი — PARIS

1963



# ივმრია

ძალითული ეროვნული პოლიტიკის ღრმანო  
პარტიული გამოცემა

მაი 1964

№ 11

May 1964

მაისი, 1964 წელი.

ჩვენი ორგანო კმაყოფილებით აღნიშნავს, ქართულ ემი-  
გრაციაში მომხდარ მნიშვნელოვან მოვლენას: ეროვნულ-  
პოლიტიკური ცენტრისა და ეროვნული საბჭოს შორის მო-  
მხდარ შეთანხმებას, რათა მათ საზღვარგარეთ,—საქართვე-  
ლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის აღდგენისათ-  
ვის მუშაობა აწარმოონ, სრული წანხმობითა და ერთი პო-  
ლიტიკური ხაზით. ამ მიზნით, დროებით დაარსებულ საკო-  
ორდინაციო ბიუროს დავალებული აქვს, ამ ორ თარგანიზა-  
ციაში მყოფ პოლიტიკურ პარტიებისა და ეროვნული ჯგუ-  
ფების, თანაც მათ გარეშე მყოფი პოლიტიკური წრეებისაგან  
შექმნას, ერთი ეროვნულ-პოლიტიკური ცენტრალური და  
მთავარი ორგანო, ეროვნულ ემიგრაციის სრული ნდობით  
მოსილი, ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლისა და  
მუშაობის სრული ავტორიტეტით მწარმოებელი.

ეს მოვლენა ქართულ ემიგრაციის სულიერ-იდეურ სიჯან-  
სალისა და სიმტკიცის ნიშანია და მეტად სანუგეშოც. სჩანს,  
ქართულ ეროვნულ-ემიგრაციას ღრმადა აქვს შეგნება მისი  
უწმიდესი მოვალეობისა. საქართველოს დაპყრობისა და რა-  
მოდენიმე სისხლიანი განმათავისუფლებელი ბრძოლების შე-  
ძეგ, უცხოეთში გამოხიზნული ქართველობა, დამარცხებუ-  
ლი სამფერი დროშის ქვეშ მდგარი, წარმოადგენს დიდ ერო-  
ვნულ-მორალურსა და სულიერ ძალას. ის ქართველი ხალხის  
გულისთქმისა და მისწრაფების გამომსახველია და მისგან  
უფლება მოსილიც. ის არის დაპყრობილი და პირაკრული  
ქართველი ხალხის «პარტ-პაროლი» თავისუფალი კაცობრი-  
ობის წინაშე. მისი უწმიდესი მოვალეობაა, ამხილოს ჩვენ ხა-  
მშობლოში რუსულ-კომუნისტური მთავრობის მიერ ძალით  
დამყარებული ტერორი, ძალმომრეობა და ჯოჯონხეთი, საო-  
კუპაციო ხელისუფლების მუხანათური ზრახვები, და ის კო-

ლონიალური პოლიტიკა, რომლის მიზანია, ქართველი ერის სულიერი და ფიზიკური გადაგვარება და მისი რუსულ-სლა. ვიანურ ხალხებში უპიროვნოთ გათქვეფა.

ქართული ეროვნულ-პოლიტიკური ემიგრაცია, ურყევა-და სდგას «26 მაისის» დროშის ქვეშ და თითქმის ნახევარი ხაუკუნის მანძილზე, დაუღალავათა და შეუდრევებელად იბრძეის და მოლვაწეობს ჩვენი ქვეყნისა და ერისათვის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის აღსადგენად. ამ ბრძოლასა და მოლვაწეობაში, ასობით დაეცნენ და თავები დასდეს, მეთაურებთან ერთად, თანამებრძოლებმაც. ბრძოლა გრძელდება იმავე სიმხნევით, ურყევის იმედითა და რწმენით, საბოლოო გამარჯვებამდე.

თავისუფლებისათვის მებრძოლი ქართველი ხალხის ბედი თუ უბედობა, ისევე როგორც წარსულში, დღესაც ბუნებრივად გადამჟღვალია თავისუფალი მსოფლიოს ბედსა თუ უბედობასთან. ქართველი ხალხი, თავისუფლების დროშის ქვეშ, საკაცობრიო იდეებისათვის ბრძოლის მოწინავე პოზიციებზედა სდგას. იმისადმი უყურადღებობა, დღეშდე. დვირა და უჯდა თავისუფალ მსოფლიოს. ასეთივე უყურადღებობა მომავალშიაც მომაკვდინებელ ცოდვათ ჩაეთვლებათ. თავისუფლებისათვის მებრძოლი ქართველი ერი, ლირისია და მოიხსევს თავისუფალი მსოფლიო-სახელმწიფოთა ხელისუფალთა და მეთაურთა ყურადღებასა და მორალურს დახმარებას.

## ჩ ვ ე ნ ი ვ ა ს უ ხ ი „ა რ ა მ ა ი თ ხ ი მ ღ ა მ ბ ა“-თ

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის, საბჭოთა კომიტეტის, საქართველოს ფილიალის ორგანომ, საჭიროდ სცნო გაეკიცხა ქართულ პოლიტური ცენტრის შემაღენლობა, მის მიერ 1960 წელს უცხო სახელმწიფოებისადმი მიმართულ მემორანდუმისა გამო.

ქართველ მეცნიერებს, ლიტერატურის მოლვაწეებს და სხვა და სხვა დარგის მშრომელებს, რომელთაც ამ გაკიცხვაზე ხელი აქვთ მოწერილი, ჩვენ ამ აქტის არც ავტორებად, არც პასუხისმგებლებად არა ვთვლით, მაგრამ ფორმალურად იძულებულნი ვართ პასუხი მათ გავცეთ.

დეირფასნო თანამემამულენო!

რუსეთის მიერ დაპყრობილი ქართველი ერის სახელით ლაპარაკი, მისი ეროვნულ-პოლიტიკური უფლებების დაცვა, მისი თავისუფლებისა და ეროვნულ სახელმწიფო აღღენისათვის ბრძოლა და მოქმედება—ეს უწმილესი მიზანი, დანი-

შნულება-მოვალეობა და უფლებაა ქართული ეროვნული ემიგრაციისა, რომელმაც ამ მიზნით, ჩვენს ქვეყანაში რამო-დენიმე სისხლიანი ბრძოლების შემდეგ. დასტოვა სამშობლო. ჩვენი ლეგალუონი მთავრობისა და დამფუძნებელი კრების წევრთა უმრავლესობათუ გარდაიცვალა, მათი მიმყოლითაობები სცვლიან მათ სრულიად ბუნებრივათა და კანონიერად. საქართველოში, ძალით დამყარებულ, სინამდვილესა და რეალობას, ჩვენც ვიცნობთ თქეენთან ერთად. ამ რეალობასა და სინამდვილეს, თქვენ ემორჩილებით დიქტატორული უცხო რეჟიმის მიერ გაბაწრულნი და პირაკრულნი. ჩვენ კი თავისუფალნი და პასუხისმგებელნიც ვამოვდივართ, მხოლოდ არა მანდ, ორმოცი წლის განმავლობაში უცხოთა მიერ შექმნილი რეალობიდან, არამედ ოცხედ მეტი საუკუნის მდიდარი საამაყო ისტორიული წარსულიდან: ქართველი ერის მარადიულ სურვილის, მისწრაფებისა და ასპირაციისაგან და თქვენზედ უფრო ახლოს ვართ, თუ გინდ, დღევანდელ ქართველ ხალხთან, მის სულსა და გონებასთან, მის სურვილსა და მისწრაფებასთან.

— რატომ გვონიათ, რომ ქართველი ხალხისა და ერის სახელით ლაპარაკის უფლება აქვთ მათ, რომელნიც, მტრის მიერ არიან დაპყრობილნი და იძულებულნი მტრის კარნასით ილაპარაკონ და არა გახიზნულ ქართველებს, რომელთაც სხვა რამ არ შეიძლება ალაპარაკებდეს თუ არა ქვეყნისავე ინტერესი და სიყვარული.

— უორდანია-გეგეჭკორის კანონიერ მთავრობასაც, ხშირად გადაუდგამს «ასეთი ნაბიჯები» ახლო წარსულის საერთაშორისო პოლიტიკურ კონიუნქტურაში და არა სრულიად უშედეგოთ, როგორც თქვენა ფიქრობთ. დასავლეთის ქვეყნებში, ჩვენი ასეთი ენერგიითა და ოწმენით შეუწყვეტელი ეროვნული პროპაგანდის წარმოებით, თანდათან იზრდება სახელმწიფო და პოლიტიკურ მოღვაწეთა რიცხვი, რომელნიც საქართველოს მდგომარეობას ზედმიწევნით იცნობენ და ჩვენი საქმიანობისადმი სიმპატიურადა და მეგობრულათ არიან განწყობილნი. ჩვენც ამ მუშაობის გაგრძელების მიზნით წარუდგინეთ დიდ სახელმწიფოთა მეთაურებს, თქვენ მიერ დაგმობილი მემორანდუმი, რომლითაც მოვითხოვდით საქართველოს საკითხის დასმას, მათ მიერგანზრახულ კონფერენციაზე. ამ მემორანდუმს ხელს აწერენ პირველ რიგში, საქართველოს ჯარების ყოფილი მთავარსარდალი ლენ. გ. კვინიტაძე და დამფუძნებელი კრების წევრი. მის შემდეგ განსვენებული ი. გობეჩია, რომელთაც იცნობდა ქართველი ხალხი.

არ შეგვიძლია დავიჯეროთ, რომ თქვენ არ იცოდეთ, თუ რა არის «სუვერენული ეროვნული სახელმწიფო», ან ვერ ხედავდეთ საქართველოს დღევანდელ მდგომარეობასა და რეალობას, რომლის უცნობობას ჩვენ გვისაყვედურებთ. ან

ვერ ამჩნევდეთ, რომ ქართველ ხალხს წართმეული აქვს თვით-მართველობის მინიმალური უფლებები და სუვერენობის ნი-შანწყალიც. რომ თქვენ «სახელმწიფოს» არ გააჩნია, ეროვ-ნულ-სახელმწიფო ცხოვრების არცერთი მნიშვნელოვანი არ-სებითი დარგის, თვითმართველი, დამოუკიდებელი უწყება-სამინისტრო: არც შინაგანი, არც საგარეო, არც სამხედრო, არც ფოსტა-ტელეგრაფის. რომ ეს მისი დამპყრობელი მოს-კოვის ხელშია; რომ სხვა უმნიშვნელო დარგების მომწესრი-გებელი უწყებებიც მოსკოვის შესატყვის ცენტრალური სა-მინისტროების ხელქვეითია, ფილიალი და მათი ბრძანებათა და დეკრეტების თანახმად მორჩილებით მომქმედი.

ნუ თუ არა გახსოვთ, ძვირფასნო ძმებო! «26 მაისი» და თა-ვისუფალი—დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფო, რომელსაც თქვენ ასე უგულოთ, ცინიკურად აფასებთ, აბუ-ჩად იგდებთ და მტრის პოზიციებიდან დასცინით; რომელიც შეუდრეკელის ნებისყოფითა და გაჭივრებით გზას იკავავდა მაშინდელ უძნელეს მსოფლიო პოლიტიკურ ვითარებაში და თანდათანობით გამაგრებული, შესაფერ ადგილს იჭერდა მსო-ფლიო სახელმწიფოთა შორის.

ნუ თუ აღარ გახსოვსთ, რომ «26 მაისის დღეებში» თქვენც ალბად ქართველ ხალხთან ერთად ჰქანობდით და ზეიმობ-დით. «შავი თებერვლის დღეებში», ალბათ, თქვენც სწუხდით და სტიროდით. რა მოგივიდათ, რამ შეგცვალათ. განაკალაში იმისათვისა გაქვსთ ხელში, რომ ყოველისფერი დასწეროთ, ან და ყოველისფერს ხელი მოაწეროთ? ასეთი რამ კომუნისტურ ტერორის უფრო მძიმე ხანაშიც არ ჩაუდენიათ ქართველ მო-ლვაწეებს. პირიქით, ბევრი მათგანი ამ წინააღმდეგობამ იმ-სხვერპლა კიდეც.

საქართველო რუსებმა ვითომ კი არა, მართლა დაიპყრეს. რუსეთსა და საქართველოს შორის გაშლილი ომი 1921 წელს მსოფლიოს თვალწინ გათამაშდა. თქვენ ძმათა ზღვა სისხლ ში ჩახრჩეთ ჩვენი თავისუფლება-დამოუკიდებლობა.

იცით თუ არა, რომ საქართველოს დამპყრობი ერის სა-რდლების მემუარები არსებობენ. ამის თქმა, რასაც თქვენ ამ-ბობთ, საბჭოთა რუსეთის მეთაურებსაც კი არ გაუბედიათ. ისტორია არ არის სტატიური კათეგორიის მოვლენა. ისტო-რიას, არსად და არასოდეს საბოლაოდ არ გადაუწყვეტია ასე-თი საკითხები. ისტორია გრძელდება და ისეთი გზით მიიმარ-თება, რომ ჩვენ იჭვი არ გვეპარება. ის ამ საკითხს დაუბრუნ-დება და ქართველი ერის სასარგებლოთ გადასწყვეტის, რმისა თუ მშვიდობიანის გზით. მრავალსაუკუნეთა ისტორიის გას წვრივ ჩვენ სამშობლოს, ხან მთლიანად, ხან მის ნაწილებს ცალკალკე არაერთხელ დაუკარგავს და კულავ მოუპოვებია დამოუკიდებლობა. გერმანიის ჯარები ჩვენ ქვეყანაში მტრუ-ლისა და ჩვენი დაპყრობის განზრახვით არ შემოსულან, ისი-

ნი ჩვენში საერთო ომის მსვლელობამ მოიყვანა. თვით ის ფაქტი, რომ გერმანელების ჯარი ჩვენში მაისის 25 მოვიდა, და მაისის 26 საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა; ცხადსა ჰყოფს, მათ მოსვლას ჩვენდამი სამეგობროთ და არა სამტროდ.

საქართველოს «მენშევიკური მთავრობა», როგორც თქვენ უწოდებთ. ეყრდნობოდა თვით ქართველი ხალხის ნება-სურვილს. და მისი მოთხოვნით გამოაცხადა საქართველოს დამოუკიდებლობა და აღადგინა 117 წლის განმავლობაში, რუსეთის მიერ შეწყვეტილი ქართული სახელმწიფოს არსებობა. იგი დამოუკიდებლობის გამოცხადების წინ, შექმნილ ჯარისა და გვარდიის ნაწილებს ეყრდნობოდა და არა «უცხო სახელმწიფოთა ხიშტებ», როგორც თქვენი—კომუნისტური—მოსკოვის მონა-მთავრობა. ამაოა და თანაც უსუსური თქვენი ცდა — გერმანული ჯარების ჩვენში ხანმოკლე ყოფნა, მსოფლიო ომის უკანასკნელ ხანებში, და რუსეთის ჯარების საქართველოში შემოჭრა და თითქმის ნახევარი საუკუნე მანდ ყოფნა — ანალოგიურ მოვლენად გაასალოთ. თუ თქვენი, რუსეთის მორჩილებაში მყოფი «მთავრობა», ქართველი ხალხის ნება-სურვილით არის შექმნილი და ქართველ ხალხს ეყრდნობა, რათ არ შექმნის, ამ ხალხის შვილთაგან ქართულ ჯარს და მასზე არ დაეყრდნობა? მაგრამ, მან კარგად იცის, რომ ჯარი, ხალხის შვილთაგან შესდგება და მის ინტერესებს დაიცავს. ხალხი და ერი კი მისი მტერია. ამიტომ იყო, რომ ქართული ტერიტორიალური ნაწილები დაშლილ-გაუქმებულ იქნა და ქართველი ახალგაზრდობა ს. ს. რ.-ის საერთო წითელ არმიაში გათქვეფილი. ისეც ცნობილია, რომ შინაური წესრიგის დამცველ ქართველთაგან შემდგარ მილიციაპოლიციის ნდობაც არა აქვთ და უუროსებათ რესებს უნიშნავენ.

«მენშევიკურმა მთავრობამ», ბრძანებოთ თქვენ: «ვერ გადასწყვიტა მშრომელთა ვერც ერთი სოციალური, პოლიტიკური და ეროვნული საკითხი» «ბურუუაზიული თვალთაზრისითაც, ვერ მოაგვარა სამეურნეო მშენებლობის ვერც-ერთი საკითხი. მრეწველობა კატასტროფიულად დაეცა და ეს თვითონ უორდანიამ აღიარა 1920 წელს თავის ერთ სიტყვაში. «სოფლის მეურნეობა გაჩანაგდა, სიმშილი, სილატაკე სუფევს მთელ საქართველოში»-ო. თქვენ იცით, ჩვენ მენშევიკები არა ვართ, არც მათ მიერ სოციალ-ეკონომიკურ დარგში გატარებულ რეფორმებს ვიზიარებდით მთლიანად. მაგრამ სამართლიანობა სიმართლის თქმასა გვავალებს.

როგორ უნდა შესძლებოდა, საქართველოს მთავრობას, ხანგრძლივი მსოფლიო ომის შედეგად საქართველოში, დანგრეული-გაჩანაგებული მეურნეობის გაჯანსაღება-ალდენა, იმ ორი-სამი წლის განმავლობაში, როცა ქართველი ხალხის

ყურადღება და ენერგია მიმართული იყო, ჯერ კავკასიის ფრონტზე დარჩენილ განულიგნებულ რუსის ჯარისაგან, შემდეგ, უოველის მხრიდან შემოსეულ გარეშე მტრებისაგან თავის დაცვის საქმიანობისაკენ.

თქვენ ალბათ გახსოვთ 1922-23 წლების განმავლობაში, საბჭოთა რუსეთის ტერიტორიაზე, არა თუ სილარიბე და გაჭირვება, არამედ გაუგონარი სიმშილი იყო. რუსეთის შიდა გუბერნიებში კაცი კაცის ხორცია სჭამდა.

რათ ვერ მოაგვარა, ბოლშევიკურმა რუსეთმა 5-6 წლის განმავლობაში მეურნეობისა და ეკონომიკის საკითხები. საქართველოს გაჭირვება იქამდე არ მისულა, რომ კაცის ხორცი გვეჭამა.

დაბოლოს, თითქმის ნახევარი საუკუნის განმავლობაში, საბჭოთა ქვეყნების უფრცეს ტერიტორიაზე რომელიც ეგზომ მდიდარია სათესი ნოკიერი მიწებით, ბუნებრივი სიმდიდრით და მუშახელის რაოდენობით, რათ ვერ შესძელით სამეურნეო ცხოვრების მოწესრიგება-მოგვარება; კოლხების მეთოდიც სცადეთ, კოლმეურნეობის, სახელმწიფო მეურნეობის, ეგ. წოდებული ნ. ე. პ. ის და არც ბურუუაზიულ სისტემა და მეთოდზე გითქვამთ, მაინც და მაინც უარი. დასავლეთის კაპიტალისტურ ქვეყნებს, ხშირად «დაეწიეთ და გაასწირით», მაგრამ სასოფლო და საქალაქო მეურნეობის ნაწარმოების სიუხვეში და ზედმეტ სიჭარებეში არ იხრჩობით, ადამიანის ცხოვრების დონე ვერ ასწიეთ. თქვენი ტრაბახის ოდნავ სიმაღლეზე. გაჭირვებასა და სილატაკეში გყავთ მშრომელი მოსახლეობა. ერთი კი შესძელით: რუსეთის ძველი ფეოდალების ნაცვლად ახალი ფეოდალური და პრივილეგიური კლასი შეკემენით, ახალი თავადი «იდეიური» კომუნისტების რიგებიდან, რომელიც არხეინად და უზრუნველად ცხოვრობენ ფუფუნებაში.

ნ. კორდანიას მიერ ნათქვამის მსგავსი სიტყვები, არა ერთი წაგვიკითხავს, თქვენსავე განეთებში, თქვენი მეთაურისა და მპრანებელი ნიკ. ხრუმხოვისა, თუ მანდ ადგილობრივ 3. მეუანაძის მიერ თქმული. ჩახედეთ განეთ «კომუნისტის» 1 მარტის ნომერში: «ჩაის პლანტაციების გაშენების გეგმა მხოლოდ 73,5 პროცენტით შესრულდა; ვენახების გაშენების გეგმა ვერც შარშან შესრულდა. დაბალი მოსავლიანობაა საზოგადოებრივ ბალებში; უკანასკნელ წლებში მარცვლეული კულტურების ნათესი ფართობი შემცირდა; ფრინველის რაოდენობა 350.600 ფრთით შემცირდა; 1961 წელს, კოლმეურნეობებმა მეცხველობისაგან 62.700.000 მანეთი ზარალი ნახეს; ძროპის წველადობა წლიურად 113 კილოგრამით შემცირდა; გასულ წელს ვერ შევასრულეთ თამბაქოს, შაქრის, ბოსტნეულის, ქართოფილის, აბრეშუმის პარკისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების წარმოებისა და

დამზადების გეგმები». ჩაის პლანტაციების გაშენების გეგმის შესრულების პროცენტს ასახელებს, მხრივ დანარჩენი მეურნეობის დარგისა და კულტურის გეგმები, უნდა ვიგულისხმოთ, იმზომად მინიმალურად შეგისრულებიათ, რომ მათი შესრულების პროცენტულ რაოდენობის აღნიშვნას ვეღარ ბედავს, რომ მთლად ფარდა არ ახადოს, საბჭოთა საქართველოს სასოფლო მეურნეობის დაქვეითება-დაცემას.

“გვყვანან—ბრძანებს ბატონი მუავანაძე—არასინიდისიერი ადამიანები, რომლებიც გაურბიან საზოგადოებრივ სასარგებლო შრომას. მაგ. ხაშურის რაიონში, ავლევის კოლმეურნეობაში ჩარიცხულ 731 მუშიდან, გასულ წელს, 309 კაცი იყო საკოლმეურნეო მუშაობაში, ასევე სოფელ ტბის კოლმეურნეობაში—145-დან 46 კაცს არ მიუღია მონაწილეობა.”

ეს თქვენც მოისმინეთ ბატონო აქადემიკოსებო. ამის შემდეგ დამოუკიდებელი საქართველოს სასოფლო მეურნეობის მოუწესრიგებლობაზე—სინიდისის მქონენი—აღარ ან ვეღარ უნდა ლაპარაკობდეთ.

თქვენმა უნიათო მმართველებმა, ეკონომიკურ-სოციალურ-კომუნისტური თეორიებისა და სისტემის გზით, შრომის მოყვარე და უნარიან ქართველ გლეხს, დაუკარგა და წაართვა შრომის ხალისი და უნარი (ისევე, როგორც წაართვა სამშობლოდა მის დასაცავად ბრძოლის ხალისი და უნარი), და იძულებულსა ხდის კოლშეილი «ხალტურითა» და სხვა მისდაგვარი საშუალებებით არჩინოს. ეს კომუნისტ-მმართველების ბრალია და არა ქართველი გლეხობისა, რომელიც საუკუნეთა მანძილზე აღზრდილია კერძო საკუთრების, კერძო მეურნეობის, პირადი თაოსნობისა და შრომის სისტემაში.

ჩვენ, ამ «მიხრწნილ» და «უნიათო» ადამიანებს, ჩვენი მემორანდუმით, არ გამოგვითხვენია, თქვენთვის არც ჭარხალი და შაქარი, არც პური და მჭადი, არც რძე და კარაქი, არც ფეხსაცმელ-ტანთსაცმელი და არც ელექტრონი, რომელთა მოთხოვნაც არ იქნებოდა თქვენთვის ზედმეტი. ჩვენ გამოვითხვეთ ქართველი ერისათვის, ქართველი კაცისათვის, ეროვნული და პიროვნული თავისუფლება; მათი არსებობა-ცხოვრების, მათივე გონებითა და უნარით, სურვილითა და ნებისყოფით, მოწყობის და ხელმძღვანელობის უფლება—დამოუკიდებლობა და სუვერენობა. მაგრამ თქვენ გვაიძულებთ, ზოგიერთ წვრილმანზედაც გიპასუხოთ, რათა თქვენი მატერიალისტური შემეცნება ოდნავ მაინც დავაკმაყოფილოთ.

თქვენს მეტ,—საქალაქო მრეწველობისა და წარმოების, მძიმე და მჩატე ინდუსტრიის—პროდუქციის რაოდენობის შესახებ.—მოცემული სუსტი ციფრების პირისპირ, ჩვენც შეგვეძლო მოგვეხსენებინა, დასავლეთის კაპიტალისტური ქვეყნების ინდუსტრიის, პროდუქციის სტატისტიკუ-

რი ცნობები, რომელსაც კოჭებამდისაც ვერ შეწვდება თქვენს მიერ მოყვანილი ციფრები. მაგრამ ეს მეტად დაამძიმებდა ჩვენს პასუხს. ჩამორჩენილ სპარსეთსა და ოსმალეთს ნუ კი ედარებით, დასავლეთის კაპიტალისტურ სახელმწიფოებს შეედარეთ, და თქვენი წინსვლა და უპირატესობა ამით გვა-ჩვენეთ.

თქვენი ქარხნები, ერთიწლის განმავლობაში, რომ ავტო-მობილებს გამოუშვებს, იმდენს აქ, პეტოსი-სიტროენისა თუ რენოს ქარხნების, ერთი ცეხი—ანუ განკოფილება—ერთსა თუ ორ დღეში გამოუშვებს. ან, მაგ მცირედი რაოდენობის, მან-ქანებიც რათ გინდათ. სჯობდა ჯერ გზები გაგეკეთებინათ, რი-თაც ფასდება სახელმწიფო და რაც მისი განვითარების ერთ-ერთი მაჩვენებელია. ან მაგ, პირველყოფილი ხარისხის მოც-ვის ჩაი, რათ გინდათ, ქართველ მშრომელ მოსახლეობას არა სჭირდება, გასატანათ კი, გარდა რუსეთის ბაზრისა, არსად არ ვარგა. ან მაგოდენა სიტრუსები რათ გინდათ. არა სჯობდა მათი ფართობის გადიდების ნაცვლად, ხორბლეულობის, სი-მინდისა და ქართოფილით ნათესი მიწების ფართობი, კიდევ უფრო გაგეთართოებინათ, რომ რუსს ხელში არ შეჩერებო-დეთ და იქედან, ვითომდა სამოწყალოდ, შემოსატანი არ გქონდესთ? მაგრამ, თქვენი სასოფლო თუ საქალაქო მეურნე-ობის საქმიანობა, მოსკოვისაგან არის ორგვარი მიზნით და-გეგმილი: რათა, თქვენ თანდათანობით დაგინგრიონ და ხელ-თაგან გამოგაცალონ ეროვნულ-დამოუკიდებელი ცხოვრები-სა და არსებობის ქონებრივი ფუძე-დასაყრდენი. და ის გაკე-თებინონ და მოგაწევინონ, რაც მათი შინაური ბაზრისათვის არის საჭირო. აი ეს არის არსებითი დამახასიათებელი ნიშა-ნი კოლონიალიზმის, რომლის ცნების უცოდინარობას, თქვენ ჩვენ გვიკიუინებთ. მოსკოვის, ცენტრალურ-სამეურნეო საბ-ჭოს მიერ, შედგენილი გეგმა, ისეთის მოხერხებითაა აწყობი-ლი, რომ მათ მიერ დაპყრობილ უცხო ერებს, შრომისა და მეურნეობის დარგები, იმ რიგად გაუნაწილონ, რომ ყოველი მათგანი შიდა რუსეთს დაუკავშირონ-გადააბან ეკონომიკური ჯაჭვებით, რათა არცერთ მათგანს დამოუკიდებელი ცხოვ-რება აღარ შეეძლოს, და მათგან ცეცხლითა და მახვილით შექმნილი საბჭოთა რუსეთის იმპერია, აღარ ან ველარ დაი-მალოს და დაინგრეს.

«უნახავმა რა ნახაო». ეს თქვენზედ არის ნათქვამი. ამბობთ «ორმოცი წლის მანძილზე, მრეწველობის საერთო პროდუ-ქცია გაიზარდა 42-ჯერ და შორს მოიტოვა თურქეთი და ირა-ნიო», სჩანს, თქვენი პროდუქცია წელიწადში ერთი პროცენ-ტით იზრდება და თქვენ ეს გაკმაყოფილებსთ, ეს გაკვირვებსთ. დასავლეთი ქვეყნების პროდუქციის გიგანტიური ზრდა რომ იცოდეთ, ამ თქვენს პროცენტულ რიცხვს, სირცხვილით მა-ინც, ველარ გამოაჩენდით. ამას «კუს ნაბიჯით» წინსვლა ჰქვი-

ან. განა ამითა პფიქრობთ დასავლეთის, კაპიტალისტური ქვეყნების დაწევასა და გასწრებას?

აღმშენებლობა, აღმშენებლობა! რამოდენიმე მილიონ ადამიანს, პირი დაგიღიათ ყურებამდე და ერთის ხმით გაჰყვირთ. შუაქარსა პქმნით მსოფლიო მოედანზე. რა ააშენეთ, რა აღაგეთ, თითქმის ნახევარი საუკუნის მანძილზედ? საცხოვრებელი ბინებიც ვერ აგიშენებიათ, რათა არც იმზომად გაზრდილი, მოსახლეობა ოდნავ კულტურულათ დააბინაოთ, ჭერქვეში მისცეთ. ერთი გვითხარით, როგორც თქვენ გიყვარსთ თქმა, საცხოვრებელი ბინების ფართობის სიდიდე თვითეულ მცხოვრებზე. ან რა მონუმენტალური, საისტორიოდ ფუძედებული ალნაგებები, ააშენეთ, რომლებმაც გრძელ-საუკუნეთაუმს გაუძლოს და მომავალ თაობებს გადაეცეს თქვენი რეეიმის სახსოვრათა და საამაყოთ, ისეთივე, როგორც ჩვენმა მამაპაპებმა აღაგეს-ააშენეს და დაგვიტოვეს, დავით აღმაშენებლისა თუ თამარ მეფის ოქროს ხანიდან, რომელნიც, გრძელ საუკუნეთა-ეამთა სვლას, არა ერთხელ შემოსეულ ბარბაროს მტრების—ჩინგიზხანების, თემურლანგებისა თუ ომარხანების და დაბოლოს მოსკოვის ცეცხლსა და ქვემესებს ურყევად გადაურჩენ, რომელთაც დღეს თქვენი არქეოლოგები სურათებს უდებენ და მსოფლიო კულტურისა და ცივილიზაციის მოდანზე, საბჭოთა საქართველოს სახელით გამოაქვსთ, თავმოსაწონად და საამაყოდ? რა არის აქ საბჭოთა რეეიმისა, გარდა იმ ფოტოაპარატისა, რომლითაც სურათები გადაგილიათ?

რომელი ერთი მონასტერი ან ეკლესია აღაგეთ და ააშენეთ. პირიქით. რამოდენიმე ათას ეკლესიდან, მხოლოდ ასიოდე გადაურჩა, რუსულ საბჭოების შეუბრალებელ ხელს, დანარჩენები კი ერის ქრისტიანულ-საოწმუნოების წირვა-ქადაგების წმიდა ეკლესიები, თავლებად. კოპერატივებათა და კოლხონების თივა-მარცვლეულობის საწყობ-ბელლებათა და საერთო საცხოვრებელ ბინებათ აქციეთ. ბევრი მათთაგან ფრიად მნიშვნელოვანი და ისტორიული, თბილის-ქუთაისის და სხვა ქალაქთა, საკათედრო ტაძრები დაანგრიეთ და დააქციეთ. საქართველოს ქათალიკოსის ძველი სასახლეც კი პოლიციისა და მილიციის კომისარიატად აქციეთ. აი თქვენი აღმშენებლობაც, ჩვენი უკულმართი დროის «დავით-აღმაშენებლებო!» აი თქვენი «ოქროს ხანა» ჩვენივე წაწყმედილი ხანის «თამარ-მეფენო!»

—

გიკვირსთ და ამაყობთ, რომ თქვენმა რეუიმმა ნახევარი საუკუნის მანძილზე საქართველოს სასოფლო მეურნეობას 8.000 ტრაქტორი, 1700 კომბინანტი და 11.000 სატვირთო მანქანა შესძინა. ერთი გვითხარით რამდენი კომბინანტი და ტრაქტორი აქვს თვითეულ კოლხოზს, რომელშიაც 300-დან 1000

გლეხამდეა შერეკილი. იცით თუ არა, რომ საფრანგეთში ყოველ გლეხს ერთი ტრაქტორი და ერთი ავტომობილი მაიცა აქვს.

წერა-კითხვის უცოდინარეობის მოსპობით ამაყოფთ. ეს უთუოდ კარგი და კეთილი საქმეა. აქაც არაფერია არაჩვეულებრივი და გასაკვირი. ძველი რუსეთის იმპერიაში, ამ მხრივ საქართველოს არ ეჭირა უკანასკნელი ადგილი, და საიმპერიო სტატისტიკის მიხედვით, ქუთაისის გუბერნიის მეორე ადგილი ჰქონდა მიკუთვნებული. თავისი ეპოქის შესაფერად საქართველოს მწერლობა, კულტურა და მეცნიერება მუდამ სათანადო დონეზე იდგა. გელათისა და იყალთოს აკადემიები არსებობდნენ და ჩვენს მამა პაპათაგან, სწავლულნი ბალკანეთის კუნძულზე თუ სხვა ახლო თუ შორეულს ქვეყნებში აარსებდნენ სხვათათვის კულტურულ განმანათლებელ დაწესებულებებს. ქართველ კაცს ქონდა და აქვს სწავლა-განათლებისადმი მისწრაფება. ძველი რუსეთის იმპერიის დროსაც კი გვყავდნენ, მეცნიერნი და პროფესორნი, მსოფლიო მეცნიერების რიგებში, რომ ცნობილი იყვნენ.

თქვენი სწავლა-განათლების დარგებიც მოსკოვის მიერ არის დაგეგმილი, თქვენს ეროვნულ ადგილობრივ მოთხოვნილებასთან შეუფარდებლად იმ მიზნით, რომ ეს სწავლულნი და ტეხნიკასნი, სამშობა რუსეთის ვრცელ ტერიტორიისათვის იქმნეს გამოყენებული. ისენიც ექსპორტის საგნად არიან მიჩნეულნი ნებით თუ უნებურად. მათ ადგილს რუსეთიდან განხრას შემოყვანილი მუშები იჭერენ. ამით მცირდება და უცხო ელემენტებით ივსება და ჭრელდება ქართული მოსახლეობა, ქართველ ერს ფერხთაგან ეცლება მისი მამაპაპეული ეროვნული მიწა-წყალი.

ქართული ლიტერატურისა, თუ სხვა მწერლობითი დარგების და საერთოდ ბეჭდვითი სიტყვის წინსვლისა და განვითარების შესახებ ბრძანებთ. სამართლიანობა მოითხოვს, მოგახსენოთ, რომ ეს უფრო სინამდვილეს შეიცავს. მაგრამ დიდი საზეიმო და საამაყო არც აქა გაქვთ. ბეჭდვითი სიტყვის განვითარება საერთოდ თანამედროვე ცხოვრების ჩქარ პროგრესს, რომ მისდევს, თქვენც საშუალებასა გაძლევსთ და გიადვილებთ გამომცემლობით საქმიანობას. უამრავ წიგნებსა და წიგნაკებს სცემთ, უამრავლსავე უცრნალ-გაზეთებს. ცხადია ღსმალებზე და ირანელებზე მეტს. მაგრამ დასავლეთის განათლებულ ქვეყნებს ვერც ამითი შეედრებით. თორემ არ დაიზარებდით და შესაფერ სტატისტიკურ შედარებითი ციფრებსაც მოიყვანდით, თქვენი ლითონი სიტყვების გასამაგრებლათა და ჩვენს დასარწმუნებლად. თქვენს მიერ გამოცემულ ბეჭდვითი შრომების მოზრდილ რაოდენობას არავითარი საერთო აქვს ქართულ-ეროვნულ ლიტერატურასთან. მა-

თი დანიშნულება და მიზანი მარქსისტულ-ლენინისტური იდეების გავრცელებაა და პროპაგანდა ჩვენი ეროვნული მეობისა და შეგნება-შემეცნების დამშლელ-გამხრწნელი და განმანადგურებელი. საქართველოს თანამედროვე ცხოვრების მდგომარეობასა და სინამდვილეს თქვენ ვერ ეხებით. ეს, ის მოლიპული არეა, რომელზეთაც შეიძლება ფეხი დაგიდესთ და კისერი მოიტეხოთ, თუ მწერლის კალმის ლირსების დაცვას შეეცადენით.

ძველი და წარსული საქართველოს ცხოვრება გაგიხდიათ თქვენი მწერლობის საგნათა და ობიექტად, ვით არქეოლოგებს. მაგრამ, იმავე კისრის მოტეხის შიშით შეპყრობილნი, ხშირად იძულებით ამახინჯებთ და აყალბებთ ჩვენი ერის საამაყო ისტორიის და ცხოვრების სინამდვილესა და ფაქტებს. «მავრს» არ შეუძლია სხვაგვარი შრომა გასწიოს, სხვაგვარის ენით ილაპარაკოს.

ჭეშმარიტი პოეტისა და მწერლის უწმიდესი დანიშნულებაა ძველთან ერთად, ახალ ცხოვრებასაც შეეხოს, მისი ხშირად მცდარი და უკულმართი გზით მსვლელობა აღნიშნოს და ამხილოს. შემოაბრუნოს და სალ გზაზედ შეაყენოს. სულიერ-მორალური და ზნეობრივი ხელმძღვანელობა და მეთაურობა გაუწიოს, და «წინ წარუდღვეს ხალხსა და ერს». «ამისათვის ნიშნავს მას ზეცა და ლვთიური ნიჭით აჯილდოებს და ლვთიურსავე მირონსა ცხებს». «სამშობლოს მიწაც ამისათვის ასახრდოებს და ზრდის მას, რომ მისი გამზრდელი-მშობლის უბედობით იწვოდეს და იღავებოდეს მისი გული».

დაპყრობილ საქართველოს, არ მოეთხოვება შოთა რუსთაველი წარმოშვას. მაგრამ მის უკვდავ «ვეფხის ტყაოსანზე» აღზრდილ მწერლებსა და პოეტებს კი მოეთხოვებათ: სიყვარულის, სათნოების, სამართლიანობისა და სიმართლის შენახვა, «ვეფხის ტყაოსანზე» აღზრდილი ქართველი ხალხისათვის მორალისა და ზნეობის დაცვა-შენარჩუნება.

მაგ თქვენმა «ალორძინებისა და აყვაების» ხანამ ვერ მისცა საქართველოს—მწერლობასა და პოეზიას—«ყველაზედ საშინელი მე-17 საუკუნიდან», უშუალოდ გამოსულ მე-18 საუკუნისამებრ—გურამიშვილი, ბესიკი, საბა-სულხან ორბელიანი, ვერც დიდი ისტორიკოსი და გეოგრაფი ვახუშტი, ჩხეიძე და ორბელიანი, ვერც ენციკლოპედისტი ანტონ ქათალიკოსი.

ეროვნული მონობის,—რუსეთის იმპერატორების მე-19 საუკუნის—ხანასაც უკან ჩამორჩა. ვერ წარმოშვა ვერცერთი დიდი ეროვნული მოღვაწე, ან მწერალი თუ პოეტი, ილ. ჭავჭავაძის, აკ. წერეთლის, რ. ერისთავის, ნიკო ნიკოლაძის, გრძარათაშვილის, გ. წერეთლის, ვაჟა-ფშაველას და სხვათა შე. სადარი. ვერც დიდი მორალისტი გაბრიელ ეფისკოფოსი. სამაგიეროთ მათი მიმართულებით აღმავალი გზით მიმავალ შესანიშნავ მწერლებს, ეროვნული და სარწმუნოებრივი სუ-

ლიერი დარგის მეთაურებს და საზოგადო მოღვაწეთ თავები დააყრევინა. მათ სულიერ შვილთა, ნიჭიერ და ზეციდან მი-  
რონცხებული ახალგაზრდა თაობის საუკეთესო ნაწილი, სი-  
ცოცხლეს გამოასალმა, ნაწილსაც სამშობლო წაართვა, საქა-  
რთველოში დარჩენილთაც კომუნისტური დიქტატურის რეი-  
ნის ბორკილები დაადო, მათი ნიჭი და აზრი დაპერდა-შებოჭა,  
მათი კალამი დაიმონა და კომუნიზმის სამსახურში ჩააყენა.

მონებს, ვერასოდეს შეუქმნიათ დიდი სულიერ-ილეური  
ლირებულება. და ცხადია, ვერც რუსული წითელი რკინის  
არტახებით შეკრული, დამონებული საქართველოს, ნიჭიერი  
მწერლები შექმნიან მათ წინაპართა მიერ დატოვებულ ნაწა-  
რმოებთა შესატყვისთა და ბადალს.

ძვირფასნო თანამემამულენო! ამ თქვენი საპროტესტო  
განცხადების ხელისმომწერთა ბრწყინვალე გუნდს არ აკ-  
ლია არც აკადემიკოსი და მეცნიერი, არც მწერალი და პოე-  
ტი, არც არტისტი და მხატვარი, არც მუსიკოსი და კომპო-  
ზიტორი, არც არქეოლოგი და კონსერვატორი, არც ექიმი და  
დოქტორი, არც მწერელი და მეფოლადე, არც მახარაძელი  
მეჩაიე. ფკლია მხოლოდ სამართლის მცოდნე ვექილი და პრო-  
კურორი. მიუხედავად ამისა ეს ტექსტი მეტად ლარიბულსა  
და საცოდავ შთაბეჭდილებასა სტოვებს. მას აკლია: მორა-  
ლური და ზნეობრივი საფუძველი, სიბრძნე და ლოლიკა, აკა-  
დემიური სტილი,—წყობა და კომპოზიცია, ჩვენი ისტორიისა  
და სულ ახლოწარსულის ცოდნა და მისი მიუღიბომელი დაფა-  
სება, გამბედაობა და გმირობა. და რაც მთავარია—სიმართ-  
ლე და სამართლიანობა და რაც კიდევ უმთავრესია—ქართუ-  
ლი სულის თავისუფლება და მამულის შვილური შეგნება.

ზოგს თქვენთაგანს პირადათ გიცნობთ. გიცნობთ აგრეთ-  
ვე, თუგინდ თქვენი არათავისუფალი კალმის ნაწერების სა-  
შუალებით, და არ გვინდა დავიჯეროთ, რომ ეს თქვენს მიერ  
დაწერილი იყოს. მაგრამ ისეც სამწუხაროა რომ თქვენი სი-  
დიდის პირები იძულებულნი ხართ ამდაგვარ ტექსტზე ხელი  
მოაწეროთ.

თქვენ გავიწყებინებენ, მაგრამ ჩვენ მოგაგონებთ საბჭოთა  
მთავრობის ხანებში მომხდარ ქართველი ხალხის—მუშათა  
კლასის, სტუდენტთა და მოსწავლე ახალგაზრდობის მასიურ-  
სა და სპონტანიურს გამოსვლებს: «გენუის კონფერენციის»  
დროს, შემდეგ კიდევ თებერვლის დღეებში ტაბახმელაზე და-  
ხოცილ გმირთა საფლავებზე, რომელთა შემდეგ ციხეებისა  
და «ჩეკის» სარდაფები გაავსო თქვენმა მთავრობამ. ან ის სი-  
სხლიანი აჯანყებები, რომლებიც ერთი მეორის შემდეგ ხდე-  
ბოდა ფშავ-ხევსურეთში, გურიაში, იმერეთში და სვანეთში.  
1924 წლის საერთო ეროვნულ-ხალხური ამბოხება ხომ გახ-  
სოვსთ, ქაიხ. ჩოლოყაშვილის მონაწილეობით, როგორის ჩასა-

ქრობლად თქვენმა მთავრობამ რუსეთის საოკუპაციო ჯარები გამოიყენა და რომელმაც ათიათასამდე ქართველი შეიწილა. შემდეგ მოწყობილი შეთქმულებებიც გახსოვსთ ალბათ, შეთქმულთა დაწყრეტით რომ დამთავრდა.

ყველა ამ შეთქმულება-და ამბოხება-აჯანყების მიზანი ხომ, საქართველოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის აღდგენა იყო. ამ დიადსა და სამარადისო მიზანს ათასობით და ათიათასობით შეეწირა ქართველობა და განსაკუთრებით თქვენი თაობები. და თქვენ ამ თქვენ ძმათა ძვლებზე და საფლავებზე, რომელიც ქართველი ერის გულისტქმას ლალადებს, რუსული ნალით დაჭედილი მძიმე ფეხი დაგიბჯენიათ და ებრძეით საქართველოს დამოუკიდებლობის იდეასა და მისთვის მებრძოლ ქართველობას.

ძვირფასო ძმებო! თქვენ თავის დახრა არჩიეთ. თქვენი პიროვნების შელახვისა და დამცირების მსხვერპლითაც ახერხებთ ხშირად ერისა და სამშობლოსადმი სამსახურს. ჩვენ ამ თქვენს ლვაწლსა და ერთგვარ თავგანწირვას ვაფასებთ. ყველასფერს აქვს ზომა და საზღვარი. თავდახრილებმა, ჩუმად მაინც მუხლი მოიყარეთ, ზეცას შეხედეთ და შენდობა და პატიება გამოსთხოვეთ.

ჩვენთვის არჩევანი არ არსებობდა. სამშობლოსა და ერისათვის ბრძოლაში ყრმობით ჩაბმულნი, მრავალი დამარცხების შემდეგაც, შევრჩით მის ასპარეზს, მის დროშას. მტრისაგან სამშობლო წართმეულნი, მშობელი ქვეყნის მკერდისაგან მოწყვეტილი, სამშობლო ციური მზისა და სიობოს მოკლებულნი, ემიგრანტული, მეტად მძიმე ცხოვრების აუტანელ პირობებშიაც კი ვახერხებთ შეძლებისადაგვარად ერის პოზიციების დაცვას, სიტყვით, კალმითა და ეროვნულ-პოლიტიკური საქმიანობით ვიბრძვით ქართველი ერისა და საქართველოს თავისუფლების აღდგენისათვის.

ჩვენ, ქართველი ხალხის შვილები თუნდა მხოლოდ «ერთი ჯგუფი» სიმართლის—ეკლიანი გზით, მივდივართ და უმწიკვლოდ, უსასყიდლოთ, ვემსახურებით ქართველ ერს. მუდამიმაჩედ ვფიქრობთ თუ როგორ ვემსახუროთ ჩვენ მშობელ სამშობლოსა და ერს, დღეს რუსეთის მიერ დაპყრობილს, თავისუფლების მონატრულსა და მაძიებელს. გვრწამს რომ არა ვართ «უგვარო და უთვისტომო ქართველნი», გვრწამს რომ ქართველი უარს არ გვეტყვის «ჩვენს ქართულ წარმო შობაზე და ქართვლის შვილობაზე» და ისეც რომ მომავალ თაობას გადაგვცემს და არა «შესაჩვენებლად», როგორც თქვენ იძულებით დღეს მანდ გათქმევინებენ, არამედ სიობლითა

და ლირსეულის დაფასებით: «ვინცა მოკვდეს მეფისათვის,  
სულნი მათნი ზეცად რბიან».

ჩვენც ძმებო, «არა რატომლაც», არამედ მართლა ვფი-  
ქრობთ და გვჯერა რომ თქვენც «იპოვით ძალებს თქვენს თავ-  
ში, გამოფხიზლდებით, სალის გონებით შეხედავთ» არა მარ-  
ტო «დღევანდელს» არამედ მრავალსაუკუნოვან ისტორიის  
სინამდვილეს, ასულდგმულდებით ქართველი ხალხის უკვდა-  
ვი—მარადიული სულითა და მისწრაფებით, იჯმნით ეშმაკი-  
საგან, დაუბრუნდებით ქართველი ერის მიერ, არჩეულ ერთად-  
ერთ ისტორიულ «გზას», რომლითაც ასე ძლევამოსილებით  
მიემართება ქართული სული, ქართველი ხალხის თავისუფ-  
ლების მოსაპოებლად.

«იაგნანამ რა ჰქმნაო». ამას თქვენ კომუნიზმის რუსული  
ხარაჩოებიდან კი ნუ უსმენთ, მამადავითის მთიდან უსმინეთ  
და მაშინ «შესძლებთ იცნოთ ნამდვილი მშობელი ერი, შეი-  
გნოთ მისი შეუჩერებელი მისწრაფება თავისუფლებისადმი,  
თქვენც მიჰყევით მას ქართულის ტერფით და იგი «იმდენად  
ძლიერი და სულგრძელია, რომ შეუძლია მოგიტევოსთ დანა-  
შაული, ისევ ნამდვილ ქართველებად გაქციოთ და ჩაგაყე-  
ნოსთ მის საერთო «სასიხარულო» თავისუფლების «ფერ-  
ხულში».

ჩვენ აქ განცხრომასა და ფუფუნებაში არა ვცხოვრობთ,  
როგორც მანდ, რუსეთის სამსახურში მორჩილებით მყოფი  
ერთი წრე—ქართველი კომუნისტების ზედაფენებისა, სინი-  
დისისა და სულის გამყიდველნი. ვცხოვრობთ ფიზიკურად  
მძიმე მატერიალურ პირობებში. ვიცით ვისთვის და რისთვის  
ვიტანჯებით და გიპასუხებთ, ჩვენი სამშობლოს უალრესი  
სიყვარულისა და პატივისცემით: «და შერცხვენით მანდა ყო-  
ფნას გვირჩევნია აქ სიკვდილი».

მეფის რუსეთის ხანაში, საქართველოდან შორეულ, არა-  
ქრისტიანულ სპარსეთში გადახვეწილმა ალექსანდრე ბატო-  
ნიშვილმა ასე უპასუხა მარიამ დედოფლის მიერ მიწერილ-  
მოწოდებითი ბარათზე: ... «თუ საქართველოს სამეფო ტახტი  
დავიბრუნე, თუ ვერა და დაივიწყე, რომ გყავდა შვილი ალე-  
ქსანდრე»-ო.

აი ჩვენი, მის ბედში მყოფი—მისი სულიერი შვილების  
ქართული პასუხი: ჩვენც დაგვივიწყეთ, თუ საქართველოს  
თავისუფლება ვერ დაუბრუნდა.

გლ. პატარიძე.

## საქართველოს პოლიტიკური მდგრადართა

(დაბყრობიდან დოკუმენტების)

(გაგრძელება)

სანამ საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობის და მისი ახლანდელი უფლებრივი სტატუსის თხრობას განვაგრძობდეთ, ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია. კიდევ რამდენიმე სიტუაცია ვსთქვათ, ზოგადათ მაინც, საბჭოთა კავშირის გარეგნულ ევოლუციის შესახებ, რადგან მასზე უმაღლევრი ითქვა და ახლაც ლაპარაკობენ. მართლაც, საგარეო სახელმწიფოებრივ ურთიერთობაში, შინაურ პოლიტიკაში, ხანგამოშვებით ზოგი რამ ცვლილება ხდება, ხოლო მთავარი მიზანი—მსოფლიო რევოლუციის მოხდენა, კაპიტალიზმის მოსპობა, ძალით ყველგან საბჭოთა წყობილების დამყარება, თავისუფალ ერების დაპყრობა და მსოფლიო კომუნისტური სახელმწიფოს შექმნა,— დღემდის უცვლელი რჩება. არა იდეოლოგიური კომპრომისი, არა მთავარი მიზნის უარყოფა, არამედ სხვადასხვა ისტორიულ ობიექტურ პირობების გამო, ფრთხილად ოპორტუნისტული ეტაპების გავლა, ტაქტიკური ფანდების გამოყენება, ლოზუნგების ვარიაცია, ბრძოლის სტრატეგიის შემზრუნება: ხან უკან დახევა, ხან კი შეტევა.

ვინც თავიდან თვალყურს ადევნებდა, ან სპეციალურად იკვლევდა კომუნიზმის თეორიულ დოქტრინის ჩამოყალიბებას, მსოფლიო სახელმწიფოს შექმნის იდეიის განვითარებას, მისთვის ცხადია. კომუნიზმის იდეოლოგებმა თუ რატომ აირჩიეს რევოლუციონური ძალდატანება, ტერორი და დიქტატურა მისი განხორციელებისათვის, რადგან ნებაყოფლობით ასეთი უზარმაზარი სახელმწიფოებრივი მექანიზმის შექმნა, პერსპექტივაში პერმანენტული, მუდმივი, შეუწყვეტელი ძალადობა, პიროვნებათა და ერთა მონობაზე, ჩაგვრაზე აგებული, ყოვლად წარმოუდგენელია.

მარქსის შემდეგ, თუ თვალს გავადევნებთ მსოფლიო კომუნისტურ სახელმწიფოს შექმნის სხვადასხვა ეტაპს დაგანსაკუთრებით, რუსულ კომუნიზმის იდეიურ და ორგანიზაციულ ზრდა-განვითარებას, შეგვიძლია უტყუარ დასკვნამდე მივიდეთ, რომ ლენინ-სტალინი და დანარჩენი ნაკლებ კალიბრის თეორეტიკოსები, სისტემატიურად და თანმიმდევრობით იცავდენ და ავრცობდენ მსოფლიო სახელმწიფოს იდეიას, ობიექტურ პირობებთან შესაბამისად, ცდილობდენ ამ თეორიის პრაქტიკულად შესრულებას.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ საბჭოთა მთავრობის პირველი წლების (1917 წ.—1922 წ.) საგარეო პოლიტიკის მიმართებაში და კომინტერის მუშაობის შორის არავითარი გან-

სხვავება არ ყოფილა. მთავრობა და კომინტერი შეერთებულის ძალით, ხელი-ხელ ჩავიდებული მოქმედებდა მსოფლიო რევოლუციის გასაჩაღებლად, კაპიტალისტური მწყობრის დასამხობად. კიდევ მეტი—რუსეთის საბჭოების ინტერესები სავსებით შესატყვისი იყო მსოფლიო კომუნიზმის ინტერესებთან.

რევოლუციამ, ეკონომიურმა კრიზისმა, მსოფლიო ბაზრიდან მოწყვეტამ, იზოლიაციამ, საბჭოთა ხელისუფლება იძულებული პყო, რომ დიპლომატურ და ეკონომიური იზოლიაციისათვის თავი დაელწია, ახალი ეკონომიური პოლიტიკის (ნეპის) გზას დასდგომოდა. საბჭოთა რეუიმისათვის ნეპის შემოლება, ახალი ერას დაწყებას ნიშნავდა: კაპიტალისტურ სახელმწიფოებთან პოლიტიკური და დიპლომატური კავშირის ალდგენა აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენდა, რომ ეკონომიური დახმარება ადვილად მოპოვებული ყოფილიყო.

აქიდან, რასაკვირველია, თავისთავად გამომდინარეობდა სოციალისტური რევოლუციის ტემპის, აჩქარების პროცესი, დროებით მაინც, უნდა შენელებულიყო და ამით კომინტერნი, ე. ი. მსოფლიო კომუნისტური მოძრაობა, ხაბჭოეთის ნაციონალურ ინტერესების სამსახურში ჩამდგარიყო. სტალინის ცნობილი თეზისი, კაპიტალიზმის გარემოცვის ხანაში,—ერთ ქვეყანაში სოციალიზმის აშენებისა, სრულებით არ მოასწავებდა, მთავარი მიზნის—მსოფლიო კომუნისტურ სახელმწიფოს შექმნის,—უარყოფას. ეს იმას ნიშნავდა, რომ საბჭოთა კავშირი, სტალინის გააზრებით, მსოფლიო სახელმწიფოს ძირითად ბაზად უნდა გამხდარიყო. ამ მიზნის განსამტკიცებლად, კომუნისტური პარტიის ბელადები გარკვეულად ნაციონალიზმის გზას დაადგენ, არა მარტო საბჭოეთის, არა მედ, აშკარად, ნამდვილი რუსული ინტერესების დასაცავად, ისე რომ, ინტერნაციონალიზმი გამოყენებული იქმნა რუსული ნაციონალიზმის გასაძლიერებლად, და ორთავე—ინტერნაციონალიზმი რუსულ ნაციონალიზმთან გაიგივებული, მიზნად ისახავდა და ახლაც იქით ისწრაფის, რომ მსოფლიოს თავის ჰეგეზონია მოახვიოს, ხოლო ხან ინტერნაციონალიზმია მიზანი და ნაციონალიზმი საშუალება, ხან კი—ნაციონალიზმია მიზანი და ინტერნაციონალიზმი საშუალება. ორთავე მიზანი და საშუალება, მსოფლიო სახელმწიფოს შექმნისაკენ მიემართება!

ალსანიშნავია, რომ საბჭოთა წყობილების მკვლევარები. დასავლეთის ისტორიკოს-სოციოლოგები, ხშირად, უმეტეს შემთხვევაში, მეტად დამახასიათებელ შეცდომებს უშვებდენ და ვერ ხედავდენ იმ პრინციპულ განსხვავებას რევულუციამ-თელ და ახლანდელ ნაციონალიზმის შორის და საბჭოთა ნაციონალიზმს დევლი, მონარქიული რეუიმის პირდაპირ გაგრ.

ძელებად სთვლიან. განსხვავება, მაინც თვისობრივი ხასიათის არის: საბჭოთა ნაციონალიზმი უფრო მკაცრი და უხეშია, მაშინ როდესაც რუსეთის ძელი მონარქია, რაც უნდა იყვეს, უფლებრივი სახელმწიფო იყო და ეროვნულ მოძრაობას მეტ ანგარიშს უწევდა, თუმცა რეპრესიებს ისიც მიმართავდა. ხოლო, ყველა მკვლევარები, ერთ რამეში მაინც არიან შეთანხმებული და ერთხმად ადასტურებენ, რომ საბჭოთა რუსული ნაციონალიზმის ზრდასთან ერთად ძალზე გაძლიერდა რუსული ნაციონალიზმის ერთ ერთი ფორმა — რუსიფიკაცია, ყველა ნაციონალურ რესპუბლიკებში, ეს გარუსების პროცესი დაიწყო 30-იან წლებში. განსაკუთრებით მან თავის აპოგეიას მიაღწია სტალინის ეპოქაში, რაც გამოიხატა არა მარტო მოსკოვის ხელში მთელი ძალა-უფლების თავმოყრით, მართველობის ჭარბი ცენტრალიზაციით, არამედ ნაციონალურ რესპუბლიკებში „ბურუუაზიულ ნაციონალისტური“ ინტელიგენციის განადგურებით, მუსულმანურ რესპუბლიკებში გვარების გადარუსებით, მილებული ლათინური ალფაბეტის მოშლით და რუსული ანბანის შემოღებით, — ყველგან სკოლებში, უნივერსიტეტებში, სახელმწიფო დაწესებულებებში რუსული ენის გაძარღვნებით.

თვალსაჩინოდ, რუსულ ნაციონალიზმა ფრთხები გაშალა და თავის ზენიტს მიაღწია მეორე მსოფლიო ომის დროს. რეეიმის სიძულვილის გამო, დამარცხების მომხრეთა შორის, სხვებთან ერთად რუსებიც აღმოჩნდენ. დანარჩენი — უკრაინელები, ბელორუსიელები, ქართველები, სომხები, აზერბაიჯანელები და აზიის რესპუბლიკის ხალხები, რეუიმით და თეით-მყრობელური კომუნისტურ რუსიფიკაციით თავმოძულებულნი და გაჯავრებულნი ადვილად ხდებოდენ გერმანიის ორიენტაციის მომხრენი. ამ მოვლენას, — გერმანეთის გამარჯვების თანავრძნობის მიღრეკილებას, მაშინ (და ახლაც ხსნიან) ხსნიდენ იმით, რომ კავშირში მომწყვდეული ერები ორმაგ ჩაგვრას განიცდიდენ: კომუნისტურ რეუიმის და მოსკოვის ცენტრალიზმისას, რაც მათი რწმენით უდოიდა ეროვნულ კულტურის რუსიფიკაციას.

ომის გათავების მომდევნო წლებში, სტალინი დაუინებით აღნიშნავდა რუსული კულტურის უპირატესობას ყველა დანარჩენ კულტურის მიმართ. საბჭოთა კავშირის მეცნიერები ერთმანეთს ეჯიბრებოდენ, სტალინის ამ «ბრძნულ აზრების» დასაბუთებაში. რომ რუსები, მეცნიერების ყოველ დარგში და ტექნიკაში, პირველები იყვენ და არიან, მათ ეკუთვნის ყოველი გამოგონება და მეცნიერული აღმოჩენები. მიღწევები-ესეც ერთ-ერთი ფორმა იყო რუსული ნაციონალიზმის გასა-ლვივებლად, რაც ასე აუცილებელი იყო სტალინისათვის, მისი პირვენული დიქტატურის განსამტკიცებლად, თორებ სტალინმა ძალიან კარგად იცოდა, რომ რუსეთი მეცნიერების



ყოველ დისციპლინაში და ტექნოლოგიაში ძალზე ჩამორჩენილი ქვეყანა იყო.

სტალინის შემდგომ პერიოდში (ე. ი. ხრუშჩოვის პერიოდში), კომუნისტურ მსოფლიო სახელმწიფოს კონცეპციაში, მნიშვნელოვანი შესწორება იქმნა შეტანილი, თუმცა საბოლოო მიზანი—მსოფლიო სახელმწიფოს შექმნისა—იგივე რჩება, ხოლო მისი მიღწევის გზები, სავსებით მოკლებულია ლენინ-სტალინის თეორიის უმანდელ გარკვეულობას, უფრო ზიგზაგებს, მიხვევ-მოხვევას შეიცავს, ვიდრე გაშლილ პირდაპირ გზას. ეს გზა უფრო საშიშია თავისუფალ მსოფლიოს-თვის, ვიდრე სტალინის ფარული შეთქმულებანი, რადგან, აქ მტრის ოინები აშკარად უნილბოა, მაშინ როდესაც ხრუშჩოვის თანაარსებობის კომბინაცია გააზრებულია, ზემოვლილი გზით, შენიდბულად «კაპიტალისტურ ბანაკში» შეჭრა, შიგნით ძირგამომთხრელ, დამანგრეველ მუშაობის წარმოება, მოკლედ ბურკუაზიულ სამყაროს შიგნიდან აფეთქება.

ცხადია, როგორც ეს ყოველთვის ხდება, ტერიტორიალურ გაფართოებას, რაც მის დამთავრებას მოყვა, უამრავ ტერიტორიის შემოერთებას, ვრცელი კომუნისტური იმპერიის შექმნას, საბჭოთა კავშირის დასუსტება უნდა მოყოლოდა, როგორც კომუნიზმის მოძრაობის აბსოლუტური ცენტრისას. ამის საკმაო მაჩვენებელია 1956 წ. პოლონეთში და უნგრეთში მომხდარი მოვლენები, რის შემდეგ აღიარებულ იქმნა «სოციალიზმის მშენებლობის სხვადასხვა გზის არჩევა». იქ მომხდარმა დიდ ისტორიულ მნიშვნელობის ამბებმა, მოსკოვის ბატონობის წინააღმდეგ აჯანყებამ, რომელმაც მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის მთლიანობა, მისი მონოლითური ხასიათი, საგრძნობლად შეარყია.

ამ ეამად ჩვენ არ გვაინტერესებს მსოფლიო კომუნისტური სახელმწიფოს შექმნისათვის წარმოებული ბრძოლის ანალიზი, ჩვენ დავკმაყოფილდებით ზოგად თეორიულ მოსაზრებით. ის რაც ზევით მოკლედ მოგახსენეთ, იქიდან დასკვნა თავისთავად გამომდინარეობს: მსოფლიო პლანეტარული სახელმწიფოს შექმნა, ყველას მიერ მოსკოვის ცენტრის ხელმძღვანელობის ცნობა, თანდათან შეუძლებელი ხდება. მომავლისათვის, რაღაც განუხორციელებლად და შეუძლებლად გვეჩვენება, მაგ., პოლონეთის, პუნგრეთის, ჩეხოსლოვაკიის და სხ. (ჩინეთზე და იუგოსლავიაზე ლაპარაკიც ხომ ზედმეტია) რესპუბლიკათა საბჭოთა კავშირის ფედერაციაში შესვლა, როგორც მოკავშირე რესპუბლიკების, ისიც ნებაყოფლობით. ეს პერსპექტივა წარმოუდგენელი და მიუღწეველია, თვით კრემლის ბელადებისათვის, რომელთა ავტორიტეტი მსოფლიო კომუნიზმის მოძრაობაში ძალზე დაცემული და მორალურ-იდეური გავლენა, ერთა შორის მუდმივ უნდობლობის დათესვით, ფრიად დასუსტებულია, მიუხედავად საბჭოთა

რეფიმის ასე ხანგრძლივი არსებობისა. ის პერმანენტულ კრიზისებს განიცდის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და იდეოლოგიურ ფრონტზე, მრავალ დაბრკოლებას თავს ვერ ართმევს, მსოფლიო პეგემონიის გჩაზე, სულ ახალ-ახალ დაუძლეველ სიძნელეებს აწყდება. უძნელდება გაუმჯობესება არა მარტო ცენტრიდან მსრბოლ ძალებს, არამედ კოლმეურნეთა სასტიკ ჯიუტობას, რომელთაც არ სურთ კერძომესაკუთრეობის ფსიქიკა შესცვალონ ნაძალადებ კოლექტიურ-კომუნისტურ სისტემით.

ის რაც წინა წერილებში ჩვენ მოვიხსენიეთ, ყოველთვის, საქართველოს დაპყრობის პირველი პერიოდის გასათვალისწინებლად, მხელველობაში უნდა იქნეს მიღებული, რომ კარგად გავერკვეთ საბჭოთა რუსეთის კომუნისტურ პარტიის თეორიულ მოძღვრების რაობაში, მის პრაქტიკულ განხორციელების მეთოდში, დაპყრობილ ერების ეროვნულ თავისუფლების მოსპობა-განადგურებაში. რასაკვირველია, ეს არ იქნება დაპყრობის მთელი ისტორია, მისი ვრცელი ანალიზი, არამედ, მოკლედ, ზოგიერთი მთავარი ფაქტების გახსენება, რომელთაც წინასწარ განსაზღვრეს საქართველოს დაპყრობის შესაძლებლობა და შემდგომი საოკუპაციო რეფიმის, ასე ვთქვათ, განმტკიცება. თავიდან საქართველოს საბჭოთა ხელისუფლება ემყარებოდა (და ახლაც ემყარება) უცხო დამპყრობალაზე და ბრძოლაც ეროვნულ თავისუფლებისათვის, იმთავითვე მიმართული იყო უცხო ძალის წინააღმდეგ. ამ რიგად ჩვენ დროებით წარმატებას თუ დამარცხებას არა აქვს საბოლოო მნიშვნელობა, რადგან უცხო ძალის წინააღმდეგ ბრძოლა, რამდენადაც ის ატარებს გრძელულ ხასიათს, როცა ჯერ კიდევ მტკერს უპყრია ჩვენი მიწა-წყალი, ბრძოლა არ წყდება და ის გრძელდება თაობიდან თაობამდის, მანამ, სანამ ერი არ მოიპოვებს სრულს ეროვნულ თავისუფლებას. მაშასადამე, ყოველმა თაობამ უნდა შეასრულოს მშობელი ერის წინაშე თავისი წმიდა მამულიშვილური მოვალეობა: იბრძოლოს ერის თავისუფლებისათვის. ამ შემთხვევაში, როცა ერის ყონა-არყოფნის საკითხია დასმული, ჩვენთვის ბრძოლის ხანგრძლივობას მცირედი მნიშვნელობა აქვს. მთავარია გაძლება, მოთმინება, საბოლოო გამარჯვების მოპოება. დრო, თაობა და მსხვერპლის გალება ალალია, სამშობლოს თავისუფლების საკურთხეველზე ზვარაკად შეწირული!

როგორ მომზადდა და რა პირობებში მოხდა საქართველოს დაპყრობა? რუსეთის სამოქალაქო ომი ძალზე გაციანურდა, მას ბოლო არ უჩანდა. ვერც რვევოლუციამ და ვერც კონტრრევოლუციამ ერთმანეთი ვერ დაამარცხეს. მოკავშირეები ფულის და საომარი იარაღების დახმარებით მოილალენ, მათვეის სამოქალაქო ომის დაუსრულებლად გავრძელება სარფიანი ალარ იყო. კონტრრევოლუცია აშკარად წაგებისა-

კენ დაექანა, უგნური გენერლების პოლიტიკის წყალობით. ისინი ებრძოდენ ბოლშევიკებს და ამავე დროს ემუქრებოდენ რუსეთის იმპერიის ნანგრევებზე ახლად წარმოშობილ თავისუფალ, დამოუკიდებელ ერების არსებობას. ბოლშევიკური რეჟიმის და მისი დიქტატურის ბედიც ბეჭვზე ეკიდა. ანარქიამ და სურსათის კრიზისმა ლენინი იმპერიალისტების კარებამდის მიიყვანა დახმარების გამოსათხოვად, მაშინ როდესაც სულ რამდენიმე თვის წინედ კაპიტალიზმს წარდგნით ემუქრებოდა. ბურუუაზისათვის ბოლშევიკებთან ვაჭრობა უფრო სარგებლიანი იყო, ვიდრე რუსის გენერლებზე უიმედოთ და უშედეგოდ ფულის ფლანგვა. მაშინ, მათ აიძულეს, ლოიკ-ჯორჯის მთავრობა სავაჭრო ურთიერთობა დაემყარებია საბჭოებთან. მანაც, ამის საჭიროება, გონიერი მახვილურად დაასაბუთა: რატომ არ შეიძლება ბოლშევიკებთანც ვივაჭროთ (მათ ხომ ჟელი რუსეთის ოქრო საკმალდ დარჩეს), მაშინ როდესაც ჩვენ აფრიკის კაციჭამია ტომებთან დიდი ხანია ვაჭრობთ და არც მთლად უხეიროდ, რათ არ უნდა ვი ვაჭროთ თუნდაც კაპიტალისტების ჭამია ბოლშევიკებთან, ისინი ხომ ოქროთი იხდიან ჩვენგან ნასყიდ საქონელს? ინგლისის და საბჭოთა მოსკოვის მთავრობები ერთმანეთში მორიგდენ, რასაკვირველია, დამოუკიდებელ კავკასურ ერების ხარჯზე, მათი დამოუკიდებელ სახელმწიფოებრივი არსებობის გაწირვით; დამშეულ ბოლშევიკურ რუსეთს სასწრაფოდ მიაწოდეს სურსათ-სანოვაგე, საიდუმლო შეთანხმებით დაუთმეს ბაქოს ნავთი (დაუკითხავად აზერბაიჯანის მთავრობისა), დაუთმეს სომხეთ-საქართველოს რკინისგზები ბათუმით (ესეც საქართველოს მთავრობის გაუფრთხილებლად). სამაგიეროდ ბოლშევიკები დაპირდენ კოლონიებში პროპაგანდის შეწყვეტას, შიგნით ახალი ეკონომიკური პოლიტიკის გატარებას, კერძო კაპიტალის დაშვებას და რაც მთავარია, კონცესიების გაცემას დასავლეთის კაპიტალისტებზე, აგრეთვე სამოქალაქო ომის შეწყვეტას და საერთო მშვიდობიანობის დამყარებას.

ეს შეთანხმება ლენინის მთავრობასთან, ომში დალლილ და ეკონომიკური კრიზისის მომლოდინე, მოკავშირეების თვის ციდან მოვლენილი მანანა იყო. აქაც ალსრულდა რუსთველის უკვდავი სიტყვები: «უმსგავსო საქმე ყოველი, მოკლეა მით ოხერია». მართლაც ინგლისელებმა ვაჭრობით დიდათ ისარგებლეს, მოსკოვის ყვითელი ლითონი (ოქრო) თავიანთ ბანკებში გადმოქაჩეს, მაგრამ იგივე რუსთველის სიტყვებით: «რაღაა ივი სინათლე, რასაცა ახლავს ბნელია». როცა ბოლშევიკებმა ინგლისის ეკონომიკური დახმარებით სული მოითქვეს, არც ერთი დაპირება არ შეასრულეს და ბრიტანეთის იმპერიის შემდგომ დასუსტებაში, დაშლასა და კოლონიების ჩამოშორებაში, მართლაც ლირსეული როლი შეასრულეს. ეს

ამბავი ასე დამთავრდა: ფული მოგებული, პკუა წაგებული.

მაშასადამე, მოკავშირეების ეკონომიკური დახმარებით და მათი არა-შორსმჭვრეტელური პოლიტიკის გამო, 1920 წ. დასაწყისიდან, საბჭოთა რუსეთი, სამოქალაქო ომიდან გამარჯვებული გამოვიდა. მოხალისეთა გენერლების არმია დამარცხებული და დემორალიზებული უცხოეთს გაიხიზნა. ამიერიდან, ბოლშევიკურ მთავრობას გზა გაეხსნა თავისუფალ მოქმედებისთვის, ყოველგვარ რისკის გარეშე, მოკავშირეთა ფარული დასტურით, ანგარიშები გაესწორებიათ, რუსეთის ორბიტიდან, გამოსულ თავისუფალ-დამოუკიდებელ სახელმწიფოებისთვის, პირველ რიგში საქართველო-აზერბაიჯან-სომხეთისათვის. მოხდა ამ ერების მოღალატე კომუნისტების მობილიზაცია და სამხედრო სამჩადისი, ომის საფრთხე თანდათან გვიახლოვდებოდა.

თურქეთთან საიდუმლო შეთანხმების წყალობით, 1920 წ. მოხდა აზერბაიჯანის ნებსით თუ უნებლიერ გასაბჭოება და იქ საბჭოთა წყობილების დამყარება. შეერთებული (მოსკოვის და ანგორას მთავრობების) მოქმედებით თავისუფალი სომხეთიც დაიპყრო წითელმა არმიამ. საფრთხის რკალი თანდათან მოიშვილდა საქართველოს საზღვრებისკენ. მხოლოდ მოსკოვი მაინც ვერ ბედავდა საქართველოსთან პირდაპირ შებმას: იცოდა ქართველი ერის და მთავრობის მტკიცე გადაწყვეტილება უბრძოლველად მტერს არ დანებდებოდა. წითელი არმიის მოახლოვებით ამოძრავდა ქართველი კომუნისტები და საქართველოს შინაურ მტრებთან (ძველი რეჟიმის მომხრეებთან) შეუღლებით ეკვეთენ საქართველოს, «ციხის შიგნიდან გასატეხად», აზერბაიჯანის მეშვეობით საცდელი ომი გამართეს ფოილოს ხიდთან, აქ სასტიკად დამარცხდა წითელი ჯარი და უკან დაიხია. დაიღვა საზავო ხელშეკრულება და თითქოს ნორმალური ურთიერთობა დამყარდა გასაბჭოებულ აზერბაიჯანთან, და მაშასადამე, ერთგვარად საბჭოთა რუსეთთანაც.

შემდეგ, იმავე 1920 წ. (მაისში) დაიწყო მოღაბარაკება საქართველოს და საბჭოთა მთავრობის შორის ურთიერთ იურიდიულ ცნობისა და სამშვიდობო ხელშეკრულების დასადებათ. ხელშეკრულება დადებულ იქნა მოსკოვში და ორთავე მთავრობის მიერ ხელმოწერილი. საბჭოთა მთავრობა ცნობდა საქართველოს დამოუკიდებლობას და მასთან ამყარებდა დიპლომატურ და ეკონომიკურ კავშირს. უზრუნველყოფა მის სუვერენულ უფლებებს და საზღვრების ხელშეუხელებლობას, მინაურ საქმეებში ჩაურევლობას. ცხადია, ეს თვალმაჯური (საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობა) განვებგაითამაშეს, რომ ქართველი ერის მხნეობა და სიცხიზლე მოეფუნდებიათ, რათა უფრო იოლად დაეპყროთ საქართველო.

დადებულ ხელშეკრულებით დამყარდა საქართველოსთან

დიპლომატური კავშირი, საქართველოს ბოლშევიკურ პარტიამ კი ლეგალური არსებობის უფლება მოიპოვა და იმ დღიდან მოკიდებული შეუდგა საქართველოს თავისუფლების ძირის გამოთხრას. დიდიალი საპროპაგანდო ფურცლები, ბროშიურები და გაზეთები გამნეულ იქნა საქართველოს ყოველ კუთხეში და ხალხს მოუწოდებდენ აჯანყებოდენ კანონიერ, თავისუფლად, დემოკრატიულ საფუძველზე არჩეულ მთავრობას, დაემხოთ დემოკრატიული რეეიმი და ეცნოთ ლენინის დიქტატორული ხელისუფლება. ამ გამხრწნელ პროპაგანდას არავითარი გავლენა არ ჰქონდა ქართველი ერის სოციალურ არც ერთ ფენებში. მუშების დიდი უმრავლესობა და გლეხობა მხარს უჭირდა საქართველოს მთავრობას. სოციდემოკრატიულ პარტიას, რომელიც ყოველთვის დიდი ნდობით სარგებლობდა ფართო მასებში და მის რევოლუციონურ და სოციალისტურ მოძრაობას ხელმძღვანელობდა. ქართველ ბოლშევიკებს არავითარი გავლენა არ ჰქონდათ ქართველ მუშებში და არც იდეურად და არც ორგანიზაციულად დიდ ძალას არ წარმოადგენდა. მართალია, აქა, იქ იყო თითო-ოროლა პროფესიონალური რევოლუციონერი, მაგრამ ისინი რუსეთში უფრო მოქმედობდენ, ვიდრე შიგ-საქართველოში. ფულიც ბლომად შემოზიდეს ბოლშევიკებმა საქართველოში და ფულის საშვალებით პპოულობდენ კიდევ თითო-ოროლა გარეწარს და მათი დახმარებით აწყობდენ აჯანყებას უმთავრესად საქართველოს არაქართულ მოსახლეობაში, მაგრამ აქაც დამარცხებულნი სამარცხვინოდ უკან გარბოდენ და თავს აფარებდენ რუსეთს. შეეცადენ საქართველოში საერთო აჯანყებას, აქაც სასტიკი მარცხი იგემეს. მათვის ერთადერთი საშველი იყო რუსეთის წითელი არმიის მოყვანა და მისი დახმარებით საქართველოს დამოუკიდებელი და დემოკრატიული რესპუბლიკის განადგურება. ეს როლი იკისრა ულირსმა ქართველმა სტალინმა და ორჯონივიძემ, სხვა ქართველ მოღალატეებთან ერთად.

როცა საერთო აჯანყების ცდიდან არაფერი გამოვიდა, მაშინ რუსეთის საბჭოთა მთავრობა შეეცადა საქართველოს მთავრობისათვის შარი მოედვა, რომ ომის საბაზი ადვილად გამოენახა: თითქოს საქართველოს მთავრობა სისტემატიურად არღვევდა დადებულ ხელშეკრულებას, დახმარებას უწევდა საბჭოთა რუსეთის მტრებს—კონტრ-რევოლუციონურ გენერლებს, ინგლისის ოკუპანტებს ბათუმში. ყველა ეს შარის მოდება მოჩვენებითი და უსაფუძვლო იყო, რაღაც ინგლისელებმა უკვე დასტოურეს ბათუმი (1920 წ. ივნისში) და შეუდგენ იმავე დროს დამარცხებულ გენერლების მოხალისეთა არმიის ევაკუაციას. საქართველოს მთავრობა ხელსკი არ უწყობდა საბჭოების მტრებს, პირიქით, კონტრ-რევ. მოხალისეთა არმიის ევაკუაციით, საქართველომ თავიდან მოიშორა

თავისი დაუძინებელი მტრის — მონარქიული რუსეთის არმიის საფრთხე. ბათუმი ინგლისელებმა დასტოვეს და იგი საქართველოს შემოუერთდა. საიდან გამოიგონეს ბოლშევიკებმა, რომ საქართველო მათდამი მტრულად იყო განწყობილი? მხოლოდ მას შემდეგ, რაც ინგლისმა გზა დაუღოცა მათ კავკასიისკენ თავისუფალ მოქმედებისთვის!

1920 წ. ნოემბერში წითელი ჯარის მიერ, ორჯონივიძის და სომებს კომუნისტების ხელმძღვანელობით დაპყრობილ იქნა სომხეთის ორსპუბლიკა. სომხის ერმა მოაწყო აჯანყება საოკუპაციო ხელისუფლების წინააღმდეგ, ვერ გაუძლო ბოლშევიკურ ურთოებს და ქემალის ჯარების — ორცეცხლ შუა მომწყვდევას და დამარცხდა. ამ არი რესპუბლიკის დაპყრობით (აზერბაიჯანის და სომხეთის) და საბჭოთა წყობილების დამყარებით, სადაც ადგილობრივი კომუნისტური ხელისუფლება საბჭოთა რუსეთის საოკუპაციო ჯარების კონტროლს ქვეშ იმყოფებოდა და მას მონურად ემორჩილებოდა, დაიწყო საქართველოს საზღვრების სამხედრო გარემოცვა, მის დასაპყრობად.

მიუხედავად ხელშეკრულებისა, ნორმალურ ურთიერთობის დამყარებისა, რუსეთის საბჭოთა მთავრობამ, ომის გამოუცხადებლად, სრულიად უსაბამოდ, საომარი ოპერაციები გააჩადა 1921 წ. 11 თებერვალს, ლორში — საქართველოს საზღვრების მახლობლად და შემდეგ შულავერში (ბორჩალოში), აქ, ვითომც აჯანყების ხელმძღვანელად არჩეულ იქნა რევოლუციური კომიტეტი, მახარაძის, ორახელაშვილის, ელიავას, გეგეჭკორის, კვირკველიას, ნაზარეტიანის და სხ. შემადგენლობით. საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ ყველა ესენი სამშობლოს მოლალატეთ გამოაცხადა. რამოდენიმე წლის შემდეგ სტალინმა ცუველანი დახვრიტა (მახარაძის გარდა), როგორც «ბურუუაზიულ-ნაციონალისტები», პარტიის და მისი პიროვნული დიქტატურის წინააღმდეგ შენთქმული.

რევოლუციონურმა კომიტეტმა საქართველო საბჭოთა რესპუბლიკად გამოაცხადა, და ვითომ აჯანყებულ ხალხის დასახმარებლად მოუწოდა წითელ არმიას (მე-XI არმიას), როცა ეს უკანასკნელი თავს დაესხა ჩვენს სანაპირო ჯარებს და მასთან უკვე ბრძოლაში იყო ჩაბმული. ომი გაგრძელდა თითქმის ორი კვირის განმავლობაში და 1921 წ. 25 თებერვალს. დიდი ბრძოლების შემდეგ დაკავებულ იქნა საქართველოს დედაქალაქი — თბილისი. მთავრობამ და ქართველმა ჯარმა დასტოვა თბილისი და ბრძოლის გასაგრძელებლად დასავლეთ საქართველოსკენ დაიხია.

საქართველოს მაშინდელ მთავრობის თავჯდომარებ—ნოე კორდანიამ და საგარეო საქმეთა მინისტრმა სასტიკი პროტესტი განუცხადეს ლენინის მთავრობას შეიარაღებულ თავდასხმის გამო. თვით ლენინს პასუხისმგებლობის შეეშინდა

და კრემლის ჩრდილში მიიმალა, პასუხის გაცემა დაევალა საგარეო კომისრის თანაშემწეს კარახანს. პასუხი უსუსური და უსირცხვო: ჩვენ საქართველოსთან ომს არ ვაწარმოებთ, არც პროტესტს ვლებულობთ.

შემდეგ, ეს ახლავე უნდა აღინიშნოს, ქართველი აბდალი კომუნისტები ამტკიცებდენ ლენინის გასამართლებლად, რომ ლენინმა არაფერი არ იცოდა საქართველოზე თავდასხმის შესახებ, ეს მალულად მოაწყვეს სტალინმა და ორჯონიქიძემ, ლენინის დაუკითხავადო. განა შეიძლება ნორმალურ სახელმწიფოში ასეთი რამ მოხდეს? განა შეიძლება ასეთი სულელური არგუმენტის გამოყენება და ისეც ვისმეს დასაცავად? როგორ შეიძლება ეს მოხდეს? ლენინი ოფიციალურად საბჭოთა მთავრობის თავმჯდომარეა, შეიარაღებული ძალების სამხედრო კომისარი ტროცკია, ამასთან არსებობს რევოლუციონური სამხედრო საბჭო, საღაც ომის და ზავის საკითხები წყდება, სტალინი კი მხოლოდ ეროვნებათა კომისარია, ორჯონიქიძე კი კავკასიის ჯარების პოლიტიკური ხელმძღვანელი. წარმოსალგენია, რომ სტალინ-ორჯონიქიძეს, მთავრობის და სამხედრო კომისრის დაუთანხმებლად, შესძლებოდათ მთელი არმიის დაძვრა კავკასიურ დამოუკიდებელ ერების დასაპყრობად, ისე რომ ეს ლენინს არ სცოდნოდა?

ან რა აზრი აქვს ასეთ მტკიცებას, მაშინ როდესაც, რუსეთის საბჭოთა მთავრობის ბრძანებით წითელი არმია საქართველოს თავსდაესხა და თბილისის გარშემო დიდი ძალებით ომს აწარმოებდა, აგრეთვე რამოდენიმე მხრით საქართველოს უტევდენ წითელ არმიის ნაწილები: ერთი ნაწილი მოემართებოდა საქართველოს სამხედრო გზით, დუშეთ-მცხეთის მხრივ თბილისის მოსაპურელად და ქართველი ჯარის დასატყვევებლად, მეორე ნაწილმა გადმოლა-სა მამისონის უღელტეხილი და რაჭა-ლეჩებუმზე გავლით, მოეშურებოდა ქუთაისის ასალებად. მესამე ნაწილი—აფხაზეთ-სამეგრელოში შემოიჭრა, მეოთხე კი—სომხეთიდან დაძრული, სამხრეთ საქართველოს გადაჭრით, აჭარას გარს უვლიდა და ლრმა შემოვლით ბათუმს უახლოვდებოდა. საოცარია, რომ სავალიალო არ იყვეს: სტალინ-ორჯონიქიძე საქართველოს იპყრობს, მის ეროვნულ-სახელმწიფოებრივ თვითარებობას ანგრევს ტროცკის წითელი არმია და ეს არ იცოდა ლენინის მთავრობამ?

მრავალი საბუთი ლალადებს, ბოლშევიკების ამ უტიფარ მტკიცების სიცრუეს, რომ მათ საქართველო არ დაუპყრიათ, მხოლოდ ისინი მიეშველენ წითელი ჯარებით, აჯანყებულ ქართველ მუშებს და გლეხებს, დახმარებოდენ იმ მთავრობის დასამხობად, რომელიც მათ იცვნეს ცხრა თვის წინეთ და რომელთანაც მათ დასდვეს კეთილმეზობლური ურთიერთობის ხელშეკრულება. ჩვენ მხოლოდ ერთ საბუთს

მოვიყვანთ, რომელიც ეკუთვნის ფილ. მახარაძეს (საქართველოს დაპყრობის შემდეგ, მოსკოვში მის მიერ გაგზავნილ მოხსენებიდან). ფ. მახარაძის ეს საიდუმლო მოხსენება<sup>1)</sup> საქართველოში შექმნილ მდგომარეობის შესახებ ანტი-ბოლშევიკური პოლიტიკური წრეებისათვის, მაშინვე იყო ცნობილი და არალეგალური გამოცემით გავრცელებული. აი, მოხსენების ერთი ადგილი: «წითელი არმიის მოქმედება, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარება, უფრო უცხოძალის სამხედრო ოკუპაციის იერს ატარებს, ქართველებს აჯანყებაში, გადატრიალებ-რევოლუციაში, არავითარი ტრანსილეობა არმიულიათ, წინასწარ საომარ სამჩადისს ადგილი არ ჰქონია, როცა საბჭოთა რეეიმი გამოცხადდა, არც ერთი ცნობილი ქართველი კომუნისტი საქართველოში არ იმყოფებოდა. ზოგჯერ ეს საქმე საეჭვო ელემენტებს ჰქონდა მითვისებული, უმეტეს შემთხვევაში კი—ნამდვილ კრიმინალებს».

<sup>1)</sup> შენიშვნა: უკანასკნელად ის გამოაქვეყნა პოლიტიკურმა მწერალმა ქალმა, ჩვენმა თანამემამულე—ელენე კარერ დანკოსმა (ზურაბიშვილის ასული), საქართველოშე თავის შესანიშნავ ნარკვევში (ფრანგულ ენაზე), ის სწერს: წითელი ჯარის ლაშქრობა (სამხედრო ოპერაციები) ქართველი კომუნისტების მიერ არ იყო არც შემჩადებული, არც მხარდაჭერილი, პრაქტიკულად საქართველოში კომუნისტური პარტია არც არსებულა, ჰყავდა ძალიან მცირე რიცხოვანი მიმდევრები, ისიც საბჭოთა რუსეთში შეხიზნული. ამ დებულებათა გასამაგრებლად ის იმოწმებს ფ. მახარაძის ცნობილ მოხსენებას, რომელიც ჩვენ ზევით ამოვწერეთ მისი ნარკვევიდან. (უუნ. «ეტიუდი», მარტი 1957 წ. 401). ეს უურნალი მოგვაწოდა ჩვენმა მეგობარმა ლევან ზურაბიშვილმა, რაზედაც დიდ მადლობას მოვახსენებთ.

ჩვენს თანამემამულეს—ელენე კარერ-დანკოსს—დასახელებულ ნარკვევის გარდა აქვს მრავალი სხვა ნარკვევები საბჭოთა რუსეთშე, სადაც უმთავრესად გამოყენებული აქვს რუსული მასალები და ამგვარად განიცდის რუსულ წყაროების და შეხედულებათა გავლენას, მართალია არა ყოველთვის. მაგალითად, ზემოხსენებულ მისს ნარკვევში საქართველოშე, გამოყენებული აქვს რუსული მასალები საქართველოს ეროვნულ შემადგენლობის და ეროვნულ უმცირესობათა შესახებ, სადაც ქართველი ერის ეთნიური შედგენილობა მეტად დამახინჯებულად არის წარმოდგენილი. ხლო ამის შესახებ ცალკე წერილში, რომელსაც ჩვენ დავბეჭდავთ შემდეგ ნომერში როგორც ამ წერილის დამატებას.

სწორედ ასეთ პირობებში საქართველოს დაეპატრონა წითელი არმიის ურდოები და ბოლშევიკურ პარტიის საეჭვო ელემენტები და კომინისტები, ბოლოს მაინც მოხერხდა სალ-

კუპაციო საბჭოთა მთავრობის შედგენა ძველი ბოლშევიკების მეთაურობით. ეს მთავრობა უმთავრესად ემყარებოდა მთლიანად უცხო ძალებს, მას მხარს არ უჭერდა ქართველი მუშათა კლასი და პირველ ხანებში, იმის გამო, რომ საბჭოთა ხელისუფლება არ იყო პოპულიალური, ძლიერ უძნელდებოდათ მართველობის, ადმინისტრაციის და უმთავრესად ეკონომიური ცხოვრების ნორმალურ კალაპოტში ჩაყენება. დასაძლევი იყო დაბრკოლებათა მთელი რიგი: სოციალური სტრუქტურის გადაყირავება და ახალი სახელმწიფოებრივ ორგანოების ჩამოყალიბება, პოლიტიკური წყობილების რეორგანიზაცია, ახალი ეკონომიური სისტემის შემოღება, ე. ი. დანგრევა დემოკრატიული რეეიმისა და ცხოვრების ყოველ დარგში დიქტატურის გამეფება.

ამას უნდა მოყოლოდა, როგორც მოვლენების ლოგიკური შედეგი შიგნით ვითომც «დამარცხებული კლასების და მათი პარტიების ალაგმა, ეკონომიური მდგრმარეობის გაუმჯობესება, საგარეო უშიშროების უზრუნველყოფა (რაღა საჭირო იყო დაპყრობილი ერის საგარეო უშიშროებაზე ზრუნვა), რუსეთ-საქართველოს შორის ხელშეკრულების დადება—სამხედრო, ეკონომიურ და პოლიტიკურ ურთიერთობის განსამტკიცებლად. ეს იყო პირველი ნაბიჯი საქართველოს საბჭოთა რუსეთის ფარგლებში მოსაქცევად.

(გაგრძელება იქნება)

ს. ჭირაქამე.

## არაჩვეულებრივი და უცნაური მოვლენა

რომის პაპის მოგზაურობა პალესტინის წმიდა აღგილებში უნდა მითვლილიყოს საგანგებო მოვლენათ ისტორიულ და რელიგიურ აღმავლობით. ანარეკლი ამ მისი მოგზაურობისა ეხლაც გრძელდებიან ყველა ქვეყნების კათოლიკურ გამოცემებში და განსაკუთრებით აქ—ისპანიაში—(საღაც მე ვიმყოფები), რასაც აქაური პრესსა მიაკუთვნებს ამ საგნის მნიშვნელობისა გამო დიდ აღგილს და სთვლის ამ მოვლენას, თუ არა დასაწყისათ საქრისტიანო ეკლესიათა გაერთიანებისათვის. ყოველ შემთხვევაში მათ აუცილებელ დაახლოებისათვის.

განხეთქილება რომის ტახტისა და მართლმადიდებელ ავტოკეფალურ ეკლესიებთა შორის ფაქტიურათ დაიწყო 1054 წელს, ზუსტათ 910 წლის წინათ, როცა ვატიკანის საკრებულომ მიიღო და დაკანონია დოგმატები და აგრესი სხვა სჯულდებულებანი, მართლმადიდებელ ეკლესიისათვის მიუღებელნი.

ამ საკრებულოში რომის ტახტმა ინება მართლმადიდებელ ეკლესიათვის მიეკუთვნებინა სახელწოდება სსიუმა-ბიგებისა (სსიუმა ბერძნული სიტყვაა და პნიშნავს შფოთსა,

ჩხუბსა, ალრევას). ასე დაიწყო განცალკევება და შეურიგებლობა საქრისტიანო ეკლესიათა შორის, რაიც გრძელდება დღემდის.

პაპი პავლე მე-VI პილიგრიმობას, როგორცა სჩანს, მიზნათ დაუსახავს ბოლო მოელოს ამ ურთიერთშორის უთანხმოებასა და განხეთქილებას, ამას ვამბობ ეჭვშეპყრობით იმ გარემოებისა გამო, რომ კათოლიკური პრესსა ეხლაც ხაზგასმით აღნიშნავს აუცილებლობას, რათა რომისაგან განყოფილნი მმანი-ქრისტიანენი შეუერთდნენ წმიდა ტანტს.

იერუსალიმში რომის პაპს პეტრი მმური შეხვედრაკოს-ტანტინოპოლის მსოფლიო პატრიარქ ათინავორთან, რომელიც მიეგება მას თავისი სამწყსოს სახელით. არ უნდა გამოვტოვოთ მხედველობიდან, რომ მსოფლიო პატრიარქს მინიჭებული აქვს პატრივი უპირველესობისა სხვა მართლმადიდებელ პატრიარქთა შორის, გარნა მას მოკლებული აქვს ნება მათ ფუნქციებში ჩარევისა, ვინაიდგან მას ეკუთვნის პატრივი პირველობისა თანასწორთა შორის.

ამათუიმ ავტოკეფალურ ეკლესიათა წარმომადგენლებმა უარჲყეს რომის პაპთან შეხვედრა ფრიად გასაგებ მიზეზთა გამო, მათ შორის პირველყოვლისა ელლადის—საბერძნეთის ეკლესიამ. არაფერი ითქმის მოსკოვის საპატრიარქოზე, რომელიც იძულებული არის განაცხადოს თავისი ზრახვანი საბჭოთა—კომუნისტური მთავრობის ნებართვით.

რა სახე გამოიჩინა საქართველოს ავტოკეფალურ ეკლესიამ ზემოალნიშნულისტორიულ მოვლენაში? უოველი წრის ქართველი მწუხარებით აღნიშნავს, რომ ამჟამინდელ მავითარებამ ჩვენი თვითმყოფი ეკლესია სრულებით ააცდინა იმ გზას, რომელსაც მიუდრეველათა და თავდადებულათ მისდევდა ნეტარხსენებული კათოლიკოსი ამბროსი! მოსკოვის პროსოვეტიული საპატრიარქო ფაქტიურათ დაეპატრონა ივერიის უძველეს ეკლესიას, ულვთო კომუნისტურ ძალაუფლების მეშვეობით. ქართველებმა არ უნდა დავივიწყოთ, რომ მოსკოვის პატრიარქის განკარგულებით ამჟამინდელ ჩვენს კათოლიკოსს უნდა ემგზავრა ევროპის სახელმწიფოებში და ქება-დიდებით ეხსენებინა საბჭოთა მმართველობა...

ყველა ამისდა მიუხედავათ, ქრისტიანენი, სულერთია, რომელ იერარქიასა და იურისდიქტიას ეკუთვნოდნენ, ასულ-დგმულებული გრძნობითა და სიხარულით აღმდევნენ გულში რომის მღვდელმთავრის პილიგრიმობას წმიდა აღგილებში, იმ განცემითა და იმედით, რომ მოახწევს დიდი ხნით ნანატრი დღე ყველა ქრისტიანების გაერთიანებისა, ჩვენსე დამტკიცარ ულვთო კომუნიზმის ძალმომზრეობაშივე.

რ. ინგილო.

მადრიდი.

## მრთვვას ტურიზმის შესახებ.

უკანასკნელ წლებში საბჭოთა რეკიმმა იმდენად გააადვილა ტურისტულ ვიზების გაცემა, რომ პოლიტიკურ ემიგრანტებსაც კი საშუალება აქვთ საბჭოთა კავშირში იმოგზაურონ და უკანვე დაბრუნდნენ; ამ მდგომარეობით, სხვადასხვა ჰასაკის, ჩვენმა თანამემამულებმაც ისარგებლეს.

ტურიზმი საამოდა სასარგებლო საქმეა, მაგრამ არის შემთხვევა, როდესაც ერთის შეხედვით უბრალო და უდანაშაულო საქციელს ორმაგი აზრი და მნიშვნელობა აქვს, იმის მიხედვით თუ მომქმედი ვინ არის.

იმოგზაურეს ისეთებმა რომელთა წასულა-წამოსვლას დიდ მნიშვნელობას ვერ მივანიჭებთ; ასეთ კატეგორიას ეკუთვნიან ახალგაზრდები, რომელთაც პოლიტიკური პოზიცია—ოფიციალურად მაინც—ჯერად დაუკავებიათ, ან ისეთი მოზრდილები რომელთა აქ ყოფნა, პიროვნულ, ოჯახურ ან სხვა მათგან დამოუკიდებელ მიზეზისა გამო მოხდა და რომელ ნიც პოლიტიკურ საქმიანობაში არ ჩარეცდან, მაგრამ ამ ხალხში ისეთნიც გაერივნენ რომელნიც აშკარად ანტირუსულ და ანტიკომუნისტურ პოზიციაზე სდგანან და რომელთაც ჩვენ თანამებრძოლებათა ესთელით.

ეს სამწუხარო მოვლენა გვაიძულებს, ამაზე ჩვენი რედაქციის აზრი გამოვსთქვათ, რადგან ეს ისეთი ხასიათის მოვლენაა, რომ თუ ამაზედ არაფერი ითქვა. შეიძლება ხალხმა, სიჩუმე, დაყვავების ნიშნად მიიღოს; მაშინ როდესაც ამ საკითხე ჩვენი შეხედულება დაყვავებიდან ძლიერ შორს არის.

პოლიტიკური ემიგრანტი არის კაცი, რომელმაც სამშობლო ან თავისი ნებით დასტოვა, რადგან იქ გამეფებულ პირობებს ვერ შეურიგდა, ან მას ქვეყანა ძალით დატოვებინას, რადგან თავისი მოქმედებით იგი ხელისუფლებისათვის არა სასურველ პირად ითვლებოდა; ორივე შემთხვევაში პოლიტიკური ემიგრანტი არის პროტესტანტი და მებრძოლი; ქართულ ემიგრაციაში ორივე ტიპის ემიგრანტებიარიან, მაგრამ ერთნიც და მეორენიც მესამე კატეგორიაში ერთდებიან. ეს არის საქართველოს თავისუფლებისათვის მებრძოლთა კატეგორია.

თუ ჩვენ მტერს ვებრძვით რათქმა უნდა ისიც გვებრძვის; და თუ მტერმა რაიმე საშუალებით მოახერხა რომ ჩვენ ბრძოლაზე ხელი აგვალებინოს, ამით იგი, ასე ვსთქვათ, უბრძოლველად გამარჯვებული გამოდის; და აბა საღ ნახულა—მებრძოლი კაცი მტრის თანხმობით, მტრის ბანაკში სასეირნოდ შესულიყოს და მერე, ვითომ არაფერიან, უკანვე დაბრუნდეს? არსებობს ერთი წესი რომელსაც ზოგი მებრძოლი მხარე მისდევს ხოლმე: ტყვედ ჩავარდნილ მოწინააღმდეგეს ზოგჯერ

უკანვე გაუშვებენ ხოლმე, მაგრამ ტყვემ პატიოსანი მებრძოლის სიტყვა უნდა დასდგას, რომ იგი სელმეორედ იარაღს აღარ აიღებს; სხვაგვარი მიმოსვლა მოწინააღმდეგე ბანაკთა წევრებს შორის არ არსებობს.

ნუ თუ ჩვენს მოგზაურებს ეს არ ესმით, ან თუ ესმით თავიანთ საქციელს რით ამართლებენ, სამშობლოსა და ნათესავების სიყვარულით?

თუ სამშობლო და ნათესავები ეგზომ გვიყვარს, რომ გრძნობამ გონიერა დაგვიხშო, მაშინ უკან რაღაც ბრუნდებიან; ვისაც თავისი თავი პოლიტიკურ მებრძოლად აღარ მიაჩნია და თან ქვეყნისა და ნათესავების უნახაობასაც «ვერ იტანს» რატომ იქ არა რჩება?

არა, საქმე უფრო მარტივია: საქართველოც უყვართ, ნათესავებიც, მაგრამ იმდენად კი არა რომ აქაური ადვილი ცხოვრება მიატოვონ და იქაურთა ბედი გაიზიარონ. მათ არც ერთ მხარეზე არა სურთ მსხვერპლი გაიღონ: არც ემიგრანტულ რიგებში ბრძოლა და თავდადება, არც იქ მყოფ თანამე-მამულეთა ბედის განიარება.

ყოველივე ეს—მეტი რომ არა ვსთქვათ—სასახელო საქციელი არ არის.

ჩვენ აქ ისე ცოტანი ვართ; ერთი-მეორესთან ისე დაახლოვებული და იმ საქმისათვის რომლისთვისაც ჩვენ თავის შეწირვა ბედმა გვარგუნა, ერთმანეთის დახმარება იმდენად გვჭირია, რომ რა თქმა უნდა ამ ცოდვისათვის მათ ქვას არ ვესვრით, მაგრამ ჩვენი გულისწყრომა თუ არა, გაკვირვება ხომ მაინც უნდა გამოვსთქვათ ამდენად დაუფიქრებელ საქციელის ჩადენისა გამო, ისეთ პიროვნებათა მიერ, რომელთაგან—მათ წარსულს თუ გადავხერავთ—უნდა ითქვას რომ ასეთ რამეს არ მოველოდით.

ამ მოვლენას საბერნიეროდ იმდენად იშვიათად ჰქონდა აღგილი რომ რეალურ ვნების მოტანა მას არ შეუძლია. თუ ერთი მეტაპლის მოფრენა განათხულს ვერ მოიყვანს, არც ორიოდე ჩიტის გაფრენას შეუძლია ზამთარი მოიყვანოს, მაგრამ წარმოვიდგინოთ: ქართულმა ემიგრაციამ რომ, საბჭოთა კავშირში მასსიური მისვლა-მოსვლა გააბას მაშინ ხომ საქართველოს პოლიტიკური ემიგრაცია აღარ ეყოლება და ეს იქნება ჩვენი მტრისათვის დიდი გამარჯვება; ნუ თუ ასეთია ჩვენი «ტურისტების» სურვილი: რა თქმა უნდა არა! მაშინ ისეთ რამეს რატომ ჩადიან რისი ჩადენის ნებაც—ჩვენი საერთო საქმის დალუპვის შიშით—არა გვაქვს?

მისგოლ ქავთარაძე.



## არჩილ ზორაბიშვილი

(ბ-ნ მ. ქავთარაძის მიერ წარმოდგენული სიტყვა)

“კარგი რამ გჭირდეს გიკვირდეს, ავი რა საკვირველია”. აი სიტყვები ჩვენს მდგომარეობას სწორად რომ შეეფერება. ჩვენ ჭირთა შიგან ყოფნას უკვე შეჩვეულები ვართ, მაგრამ ზოგჯერ ბედის სიავე ისეთ მოულოდნელ და განგებ არჩეულ ადგილს დაგვარტყამს, რომ შეჩვეულ სატკივარს უჩვეულ ოდ აგვატკივებს.

სწორედ ამგვარ მოვლენასთან გვაქვს საქმე დღეს; სრულებით მოულოდნელად დავკარგეთ კაცი, რომლის იმედიც გვქონდა და რომლის შესახებაც სრულიად ბუნებრივად ვთიქონდით რომ იგი კვლავ მრავალ წელთა განმავლობაში ქართული საქმის ერთი მოამაგეთაგანი იქნებოდა.

დავკარგეთ კაცი მცოდნე და განათლებული, უადრესად პატიოსანი, უანგარო და მგზნებარე მამულიშვილი. კაცი რომელიც ოჯახის უნაკლო მამა იყო, თან დაუზარებელი მშრომელი თავის პროფესიაში—რომელიც კიდევ დროსა და ენერგიას პპოულობდა, უკლებლივ ყველა ქართულ საზოგადო წამოწყება-საქმიანობაში მონაწილე და დამხმარე ყოფილ იყო.

განსვენებული, ლირსეული მატარებელი იყო იმ სახელოვან მემკვიდრეობისა, რომელიც მას როგორც მამის ასევე დედის მხრიდან მოსდევდა და მის მიერ ამ მემკვიდრეობის შეგნებით უნდა ავხსნათ ის თავმდაბლობა და ჩუმი მოლვაწეობა-მუშაკობა რომელიც მას ახასიათებდა; რადგან შეცდომა იქნება თუ ვიფიქრებთ თითქოს მას ამ თავმდაბლობა-სიჩუმიდან გამოსვლა არ შეძლებოდეს. გავიხსენოთ შემთხვევა როდესაც განსვენებულს ფრანგულ აღმინისტრაციასთან კონფლიქტი მოუვიდა; მან არა თუ უკან არ დაიხია, არამედ იგი შეტევაზე გადაეიდა, მთავრობას სახელმწიფო საბჭოში უჩივლა და საქმე მოიგო.

ეს შემთხვევა მაჩვენებელია იმისა რომ განსვენებული, მიუხედავად გარეგნულად მშვიდ და თავაზიან ბუნებისა, როცა საჭიროება მოითხოვთა შეუპოვარი მებრძოლიც იყო.

ასეთი კაცი დავკარგეთ ჩვენ. მისმა ოჯახმა დაპკარგა საყვარელი მზრუნველი ოჯახის მამა, ჩვენ ყველამ დავკარგეთ ძეირთასი მეგობარი და თანამემამულე, ქართულმა საქმემ დაპკარგა ერთი თავდადებული მოამაგე.

ქართულ ეროვნულ საბჭოსა და ეროვნულ ცენტრის სახელით, ჩვენ ულრჩეს თანაგრძნობას კუცხადებთ განსვენებულის ოჯახს.

ეს ფორმულა ოდნავადაც ვერ გამოხატავს ჩვენ მიერ განცდილ გულისტკივილსა და ვაებას; უფრო ბუნებრივი იქნე-

ბოდა, ხმა მალლა მოვთქვამდეთ: დაო რეი, ძმაო ლევან ეს რა მოგვივიდა, როგორ უდროოდ დავკარგეთ ჩვენი ძვირფასი არჩილი. მაგრამ ამ უცხო მხარეში ჩვენებური ტირილი კი- დეც რომ შეიძლებოდეს ჩვენ მაინც თავი უნდა შევიკავოთ.

ქართული ადათის მიხედვით, ყოველ მიცვალებულს მის. თვის შესაფერ დაქრძალვას მოუწყობენ. მაგალითად მოქეი- ფე კაცის საფლავზე დვინოს დაასხამენ და შესანდობარს და- ლევენ.

ჩვენ დღეს მიწას ვაბარებთ კაცს, რომლის სიცოცხლის მიზანი სამშობლოს სამსახური და მისი ქვეყნის თავისუფლე- ბისათვის ბრძოლა იყო. ამიტომ ამ სამარესთან ჯერარს რომ ითქვას: რაც უფრო მწარეა ჩვენი ხვედრი და ბედის ავი ხელი, რაც უფრო მაგრად მოვალეობა, მით უფრო უნდა გაკაუდეს ჩვენი გული და უფრო მაგრად დავიჭიროთ მახვილი რომ იგი ხელიდან არ გაგვივარდეს.

ამას გვიბრძანებს უწმიდესი მოვალეობა ტყვეობაში მყოფ ჩვენი ქვეყნის წინაშე.

გლოვამ არ უნდა დაგვავიწყოს რომ რაც მეტად თხელდე- ბა ჩვენი რიგები, მით უფრო მეტი მოვალეობა აწევს ყოველ ჩვენთაგანს.

მებრძოლები ერთიმეორის შემდეგ, ბრძოლის ველზე ეცე- მიან მაგრამ ბრძოლა უნდა გაგრძელდეს.

ხოლო ჩვენს ძვირფას არჩილს, რომლის კეთილშობილ სახესა და ლიმილს ამიერიდან ჩვენ ვეღარ ვიხილავთ, მაგრამ ვის ნათელ ხსოვნასაც ყოველი ჩვენგანი სიკვდილამდე გულ- ში ატარებს, ჯერ როგორც მამული მეტების შეგვიძლია უთ- ხრათ: განისვენე მშვიდად ძვირფასო ძმაო, რადგან მოიხადე შენ შენი ვალი.

შემდეგ როგორც ადამიანს, მისი მშობლიური ქვეყნის ხალხური თქმით გამოვეთხოვთ:

«აქაც კარგი კაცი იყავ,  
იქ ნათელი დაგადგესა».

უპანასკნელ სანგბში საფრანგეთში გარდაიცვალენ:

ელისაბედ (ლიზა) ყითიანი—გაბაშვილისა.

ეროვნულ-პოლიტიკური ცენტრის წევრი არჩილ ზურა- ბიშვილი.

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრი, ქართული ჯარის ყოფილი ოფიცერი ალექსანდრე (ალე) ჭურციკიძე.

ნიკოლოზ (კოლა) ხოჭოლავა.

ელენე გომართელისა.

ბარბალე გოგიტიძე მაგილევსკისა.

ბარბალე მრელაშვილისა.

ოიმიტრი (ჭიჭიკო) მდივანი.

«ივერია»-ს რედაქცია და ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის საზღვარგარეთელი ბიურო ულრმეს მწუხარებას გამოსთვევამს მათი გარდაცვალებისა გამო და ვულითად თანაგრძნობას უცხადებს მათ დამწუხრებულ ოჯახის წევრებსა და ნათესავებს.

«ივერია»-ს რედაქცია და ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის საზღვარგარეთელი ბიურო, გულითად თანაგრძნობას უცხადებს ბბ. გ. და დ. ახვლედიანებს, მათი საყვარელი დეილი, საქართველოში, გარდაცვალებისა გამო,



### უცხოეთში გამოცხვლი ჩართული წიგნები

ჩვენმა რედაქციამ მიიღო ამ ორი უკანასკნელი წლის (1962—3) განმავლობაში უცხოეთში გამოცემული ქართული წიგნები:

1. ალექსანდრე მათირიშვილი—«ერის რაობა და მშობლიური გრძნობა». ფსიქო-სოციოლოგიური ნარქოლოგი. პარიზი. 1962 წ.

2. ივანე წერაბიშვილი—«კარგ ქართველთა ხსოვნისათვის». წინასიტყვაობა და გამოცემა არჩილ და ლევან ზურაბიშვილებისა. პარიზი. 1962 წ.

3. თავით ხათირაშვილი—«ფიქრთა და მოგონებათა რვეული». თაეგადასავალი ლექსად. პარიზი. 1962 წ.

4. აქაკი ბაბავა—მოწამეთობა». ლექსთა კრებული. წიგნი მე-IV.

5. თ. ჩილაია—«საქართველოს საკითხი». პასუხად დავით ლენგის (ინგლისელი თრიენტალისტი) წიგნზე. პარიზი. 1962 წ.

6. იხილერე შანტვავა—«ქართული კულტურის გზები» (ოქროს ხანა). პარიზი. 1962 წ.

7. დ. რ ვიპტორ ნონაძე—ვეფხისტყაოსანის «ლმრთისმეტყველება». მე-5 წიგნი. პარიზი. 1963 წ.

8. რაუდენ არსენიშვილი—«განჩილვა მეფე ვახტანგ მე-VI კანონმდებლობისა. პარიზი. 1963 წ.

9. «ბედი ქართლისა». უცხოენებზე. № 41—42, 43—44. რედაქტორი და გამომცემელი კ. სალია. პარიზი. 1962-3 წ.

10. «ვეფხისტყაოსანი»—ნაწილი პირველი. ტექსტი ალგენიშვილი მიხეილ წერეთლის მიერ. გამოცემული კ. სალიასი. პარიზი. 1963 წ.

---

გამომცემლობა-რედაქციის მიხამართი:

E. P a t a r i d z e

35, rue General Delestraint. Paris (16)

---

Imprimerie Coopérative Arpajonaise. Arpajon.

